# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 10 აპრილი. 2024 წელი **№43 (9723)** ელ.ფოსტა: **sakresp@top.ge** და **sakresp@mail.ru** | ფასი **1** ლარი


# დაძლევს ქვეყნის პოლიტიკურ კრიზისს ირაკლი კობახიძე?!

ასეთ რთულ დროში ზოგიერთები კიდევ აგვისტოს ომის გამოძიებაზე ლაპარაკობენ. ახალი რა უნდა გამოიძიონ? ისედაც გასაგებია, ეს ომი როგორც დაიწყო



იხ. 4 გვ.

ოპოზიციად წოდებულმა კრიმინალებმა ცხრა წლის განმავლობაში სისხლი ღვარეს და დღესაც ცდილობენ ქაოსის გამოწვევას, ეს პრობლემა უნდა მოხსნას არჩევნებმა!



ავთანდილ არაბული:

## ბედი და ბედისწერა

ფიქრები რეზო ადამიას რუსთაველის ახალი პორტრეტის გამო

7

## 9 აპრილის ტრაგედიისას დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ პარლამენტთან 9 აპრილის ტრაგედიისას დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო და მემორიალი ყვავილებით შეამკო.**

პრემიერ-მინისტრთან ერთად იმყოფებოდნენ თბილისის მერი **კახა კალაძე**, „ქართული ოცნების" აღმასრულებელი მდივანი **მამუკა მდინარაძე** და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები. მემორიალთან დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა **შიომ (მუჯირი)** გადაიხადა.

## მეუფე შიო: ეს იყო ქართველი ხალხის სულიერი შემართების, ერთობისა და სამშობლოსთვის თავდადების დიდი გამოვლინება

**დღეს განსაკუთრებული დღეა ყოველი ჩვენგანისთვის.** ის დაკავშირებულია, ერთი მხრივ, დიდ მწუხარებასთან, ვინაიდან 9 აპრილს ამ ადგილზე განვითარებულ მოვლენებს



შეეწირა ოცდაერთი ადამიანის სიცოცხლე, მაგრამ, მეორე მხრივ, დაკავშირებულია დიდ სიხარულთანაც, რადგან ეს იყო ქართველი ხალხის სულიერი შემართების, ერთობისა და სამშობლოსთვის თავდადების დიდი გამოვლინება.

სიხარული უკავშირდება ასევე იმას, რომ ამ დღიდან ზუსტად 2 წელიწადში საქართველოს უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო.

დღეს ვიხსენიებთ 9 აპრილის ღამეს დაღუპულ ჩვენს ძმებსა და დებს და ვევედრებით უფალს, რომ გაამრავლოს ჩვენში ერთობა, ურთიერთსიყვარული და თავდადება, ვინაიდან სწორედ ეს თვისებები იყო, არის და იქნება ჩვენი ქვეყნის გადარჩენისა და გამთლიანების დიდი საწინდარი.

ღმერთმა აცხონოს სულნი 9 აპრილს დაღუპულთა მონათა და მხევალთა ღვთისათა.

**ღმერთმა დალოცოს, გადაარჩინოს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო, ამინ!**

მიხეილ ჯიბუტი —

## საქართველოს ეკონომიკის აკადემიკოსი



5

## ბოლომდე გაშიფრული აგენტი– „პლეზიდანტი"



დღევანდელი დღე, რაც არ უნდა ვფიქრობდეთ იმაზე, რომ დიდი ტრაგედია დატრიალდა და ნამდვილად დიდი ტრაგედია დატრიალდა, ეს არის უზარმაზარი გამარჯვების დღე, ის დღე, როცა ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ვერაფერი დაემუქრება საქართველოს და მის დამოუკიდებლობას. ეს არის უდიდესი გამარჯვების დღე საქართველოსთვის, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის და ამ დღის მნიშვნელობა არის ის, რომ ვერავინ ვერ დაემუქრება საქართველოს დამოუკიდებლობას. ვერავინ ვერაფერს ვერ გვიზამს და ის, რომ 8 აპრილს ვიღაცებმა გაბედეს და რუსული კანონი კიდევ ერთხელ შემოიტანეს, ეს არის მათი დამარცხების ყველაზე დიდი ნიშანი....

სალომე ზურაბიშვილი

# პრემიერის მთავარი სათქმელი და საზრუნავი



## ახალი აეროპორტი ვაზიანში

**თბილისში აშენდება ახალი საერთაშორისო აეროპორტი, ახალი მეგაპროექტის განხორციელების უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მივიღეთ.**

„დღევანდელი აეროპორტის გამტარუნარიანობა არის დაახლოებით 4,5 მილიონი მგზავრი. ჩვენ გვაქვს ძალიან დადებითი დინამიკა ტურიზმის სფეროში. მომავალშიც მოსალოდნელია ვიზიტორთა რაოდენობის სწრაფი და თანამიმდევრული ზრდა, რასაც ფეხი უნდა აუწყოს ინფრასტრუქტურამ. ჩვენ განვიხილეთ ორი ალტერნატიული ვარიანტი. ერთი გულისხმობდა არსებული აეროპორტის გაფართოებას, მეორე – ახალი აეროპორტის მშენებლობას ვაზიანში. გაფართოების ხარჯი იყო დაახლოებით 900 მილიონი დოლარი, ახლის აშენების ფასი – 1 მილიარდ 260 მილიონი დოლარი. გაფართოება იძლეოდა საშუალებას, რომ მგზავრთა ნაკადი გაგვეზარდა მაქსიმუმ 15 მილიონ მგზავრამდე და შემდგომი განვითარების პერსპექტივა აღარ გვქონდა. რაც შეეხება ახალი აეროპორტის მშენებლობას, – ახლის მშენებლობა გვაძლევს 19 მილიონამდე მგზავრების რაოდენობის გაზრდის საშუალებას, შემდგომი გაფართოების პერსპექტივით".

## შეღავათიანი ავიაბილეთებით ევროპის ჩემპიონატზე

მთავრობის მეთაურმა ასევე დაავალა ეკონომიკის სამინისტროს გერმანიაში საფეხბურთო მატჩებზე დასასწრებად დამატებითი პირდაპირი ავიარეისებისა და ბილეთებზე ფიქსირებული, დაბალი ტარიფის უზრუნველყოფა. დამატებითი პირდაპირი რეისები დიუსელდორფისა და ჰამბურგის მიმართულებით დაინიშნება. ირაკლი კობახიძის შეფასებით, ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია როგორც გულშემატკივრებისთვის, ისე ნაკრების წარმატებისთვის.

## ავითვისოთ განახლებადი ენერგიის რესურსები...

**მთავრობის მეთაურმა ასევე ისაუბრა ეკონომიკურ საბჭოზე მიღებულ კიდევ ერთ გადაწყვეტილებაზე, რომელიც განახლებადი ენერგიის რესურსების ოპტიმალურ ათვისებას უკავშირდება.**

მთავრობის მიერ შარშან მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება 800 მგვტ ჯამური სიმძლავრის ენერგეტიკული პროექტების განხორციელება. დღეისთვის უკვე არის დადგენილი კონკრეტული საშუალო მედიანური ფასი თითოეულ კატეგორიაში, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ენერგეტიკული პროექტების განხორციელება. ეს მთავრობას აძლევს შესაძლებლობას, მეტი განახლებადი ენერგიის იდენტიფიცირებისა და მეტი ჯამური დადგმული სიმძლავრის ათვისების მიზნით ენერგეტიკულ სექტორს შესთავაზოს პროექტების განხორციელება ფიქსირებული ტარიფის მიხედვით, რომელიც განისაზღვრება კონკურენტუნარიან გარემოში აუქციონის შედეგად. ეს მიდგომა ძალიან მომგებიანი იქნება ენერგეტიკული სექტორისთვის და განხორციელებული პროექტების კონკურენტუნარიანობას შეუწყობს ხელს. ეკონომიკის სამინისტროს უკვე დაწყებული აქვს ნორმატიული ბაზის შემუშავება ამ მიზნით. მადლობას გადავუხდი ეკონომიკის სამინისტროს ამ საკითხის მომზადებისთვის.



# შალვა პაპუაშვილი თურქმენეთის პრეზიდენტს შეხვდა

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი თურქმენეთის პრეზიდენტ სერდარ ბერდიმუჰამედოვს შეხვდა.**

პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის არსებულ ნაყოფიერ თანამშრომლობას, როგორც ორმხრივ დონეზე, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, ასევე, მრავალწლიან ურთიერთობათა მეგობრულ ხასიათს. მათივე ცნობით, ყურადღება დაეთმო სავაჭრო-ეკონომიკური, სატრანსპორტო-ლოგისტიკური თანამშრომლობისა და ერთობლივი რეგიონული პროექტების განვითარების მნიშვნელობას.

**„შალვა პაპუაშვილმა თურქმენეთის პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა ქ. აშხაბადში შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნის გადაწყვეტილებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ხალხთაშორისი კავშირების კიდევ უფრო განმტკიცებას. სერდარ ბერდიმუჰამედოვმა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ურყევი მხარდაჭერა დააფიქსირა“,** – აღნიშნულია ოფიციალურ ინფორმაციაში.

თურქმენეთის პრეზიდენტთან შეხვედრა ცენტრალური აზიის რეგიონში შალვა პაპუაშვილისა და საპარლამენტო დელეგაციის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გაიმართა.

## მამუკა მდინარაძე:
# როგორ შეიძლება, ევროპიდან გააკრიტიკო ის, რაც თავად ევროპარლამენტშია ინიცირებული!



**როგორ შეიძლება, ევროპიდან გააკრიტიკო ის, რაც თავად ევროპარლამენტშია ინიცირებული, მათთვის შეიძლება და ქართველებისთვის არა? ეს ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა, **მამუკა მდინარაძემ** „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, კოლეგების მხრიდან დიდი მავნებლობაა, როდესაც ამბობენ, რომ კანონის შინაარსი არ აინტერესებთ.

## ირაკლი ზარქუა:
# ჩვენ დავიცავთ და მივიღებთ გამჭვირვალობის კანონს



**უცნაურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ტიპური ორმაგი სტანდარტია ყოველგვარი ღირებულებებისგან დაცლილი ევროპარლამენტარების ნაწილისგან. ჩვენ ვითხოვთ, ვინც აფინანსებს ამ ორგანიზაციებს, სახელი და მიზნობრიობა იყოს გარკვეული, რათა იცოდეს საზოგადოებამ, ვინ აფინანსებს და რა მიზნით,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წევრმა, **ირაკლი ზარქუამ** განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს იმიტომ სურს დასავლეთთან სიახლოვე, რომ ღიაობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულებაა მათი ხელწერა.

**„ის, რაც დაფარულია, არის სწორედ რუსული. მინდა, ხაზი გავუსვა იმ უსამშობლოების განმარტებებს, რომლებსაც მცდელობა აქვთ, რომ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ. თქვეს, როგორც ფრანგულ კანონში, ასევე ევროპულში მითითებული არის ქვეყნები, ვის შეეხებაო. ტყუილია, ერთადერთი წერია, რომ ევროკავშირის სახელმწიფოებს არ ეხება. ანუ ეს ნიშნავს, რომ ეხება ამერიკულს, დანიურს, შვეიცარიულს, ავსტრალიურს, ვინც ევროკავშირის წევრი არ არის, ყველა სახელმწიფოს. ეს არ ნიშნავს, რომ ის მტრული შეიძლება იყოს, მაგრამ დეფინიცია უცხოური ძალა, რაც ევროპულ კანონპროექტი წერია, ზუსტად ისეა გადმოღებული ჩვენთან.**

**თქვენთან თუ არის მისაღები, ჩვენთან რატომ არ არის მისაღები? მეორე მუხლში გარკვევით წერია, რომ არ ეხება არცერთ სპორტულ ორგანიზაციას, არც ფედერაციებს, არც სტუდენტებს, არც სპორტსმენებს, არც ფერმერულ, სოფლის მეურნეობის პროგრამებში ჩართულ ჩვენს მოქალაქეებს. დავინტერესდი, რატომ იბრძვის ეს ექვსი-შვიდი „ენჯეო“.**

**პირველ პირებს, გიგაურებს, მშვენიერაძეებს, ცალ ფეხზე მოხტუნავეთა სექტის წარმომადგენლებს თვეში ანაზღაურება აქვთ 15-17 ათასი ლარი, ანუ პარლამენტარზე 4-5-ჯერ მეტი. ჩვენ დავიცავთ და მივიღებთ ამ კანონს“,** – განაცხადა ზარქუამ.




# სამშობლო არ იყიდება!

**ახალი პლაკატები გამოჩნდა გორის ქუჩებშიც. მასზე დატანილია იმ NGO-ების ხელმძღვანელთა სახეები, რომლებიც „გამჭვირვალობის“ კანონს ეწინააღმდეგებიან. სლოგანია – „სამშობლო არ იყიდება“.**

ამასთან, გორის ქუჩებში გამოჩნდა იმ შინაარსის პლაკატებიც თუ რატომ არ არის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი რუსული.




## რატი ბრეგაძე:
# სტრასბურგის გადაწყვეტილება მძლავრი იარაღია, ნებისმიერ დარღვევაზე პასუხისმგებელია რუსეთი

**ერთია – ჩვენ თავად ვიცოდეთ, რომ მართლები ვართ, მაგრამ მეორეა, რომ სწორედ ამ სიმართლით შეიარაღებული წარვდგეთ მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე,** – ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, **რატი ბრეგაძემ** ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომელიც ეხება 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ დაწყებული „ბორდერიზაციის“ შედეგად ადამიანის უფლებების დარღვევებს.

**„სტრასბურგის სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილება არის ძალიან მძლავრი სამართლებრივი იარაღი, რომელიც ჩვენ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ნებისმიერი დარღვევა, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სრულად შეერაცხება რუსეთის ფედერაციას და პასუხისმგებელია ეს სახელმწიფო. ასევე ბორდერიზაციის პროცესი არის სრულიად უკანონო“,** – განაცხადა **რატი ბრეგაძემ.**

კითხვაზე, საქართველოს ხელისუფლებას დამატებით კიდევ რამდენი საჩივარი აქვს შეტანილი რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში, რატი ბრეგაძემ აღნიშნა:

**„როგორც მოგეხსენებათ, რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლო აღარ იღებს სარჩელებს, იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთი უკვე აღარ არის ევროსაბჭოს წევრი და ეს გამარჯვება სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ჩვენ თავისუფლად ვიყოთ შეიარაღებული ძალიან მძლავრი სიმართლით, რათა ვიბრძოლოთ მაქსიმალურად ერთობლივად, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი დეოკუპაციისთვის“,** – განაცხადა **რატი ბრეგაძემ.**

## გიორგი მსხილაძე:

# ზურაბიშვილი რუსულ კანონს ვეტოს დაადებს!



**საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის გიორგი მსხილაძის განცხადებით, სალომე ზურაბიშვილი რუსულ კანონს ვეტოს დაადებს.**

ამ კანონის მიღების მცდელობამ 2023 წლის მარტში მასობრივი საპროტესტო აქციები გამოიწვია. საბოლოოდ, მმართველმა პარტიამ კანონპროექტი გაიწვია. კანონპროექტს შარშანდელი ვარიანტისგან მხოლოდ ის განასხვავებს, რომ ნაცვლად ტერმინისა „უცხოური გავლენის აგენტი“, გამოყენებულია ტერმინი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“. საქართველოს დასავლელი პარტნიორები – შეერთებული შტატები, ნატო, ევროკავშირი, ასევე ევროპის არაერთი ქვეყანა, პარლამენტს მოუწოდებენ, არ მიიღოს ეს კანონი. საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა „აგენტების კანონს“, მმართველი გუნდის მტკიცების საწინააღმდეგოდ, „რუსული კანონი“ უწოდა, ხოლო „ქართული ოცნების“ ხელისუფლება რუსული მიმართულების გატარებაში დაადანაშაულა. მმართველი პარტია კანონის საგაზაფხულო სესიის ბოლომდე – ივნისის ბოლო პარასკევამდე – მიღებას გეგმავს.

# პუტინის თავზე წაკითხული სახარება თუ... კრემლის მორიგი გალიზიანება?!



## რას ნიშნავს იყო ევროკავშირის ოჯახის წევრი?

## ბლოკის წევრი 19 ქვეყნის ელჩების მიმართვა საქართველოს!

**საქართველოში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩები ერთობლივ ვიდეომიმართვას ავრცელებენ, რომელშიც დიპლომატები საუბრობენ, რას ნიშნავს იყო ევროკავშირის ოჯახის წევრი.**

**„საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანაა. ალბათ გაინტერესებთ რას ნიშნავს იყო ევროკავშირის ოჯახის წევრი. მოუსმინეთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ელჩებს, რომლებიც საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებენ“,** – მიმართავს საქართველოში ელჩი პაველ ჰერჩინსკი საქართველოს მოქალაქეებს.

**ავსტრიის** ელჩი თომას მიულერი: ევროკავშირში გაწევრება ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა.

**უნგრეთის** ელჩი ანა მარია შიკო: შესაძლებლობებს ახალგაზრდა თაობებისთვის, მომავლისთვის.

**გერმანიის** ელჩი პიტერ ფიშერი: თავისუფლების, მშვიდობის, ეკონომიკის, სოციალური და გარემოს დაცვის სფეროების გონივრული რეგულირების სივრცე.

**ესპანეთის** სამეფოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული მარკოს გრანადოს გომესი: ეს იყო რეალური სამუშაო ადგილები და შესაძლებლობები ყველასთვის. ეს იყო დემოკრატიის დამყარება.

**დანიის** ელჩი ანე ტოფტ სორენსენი: მშვიდობა, კეთილდღეობა და გავლენა.

**პოლონეთის** რესპუბლიკის საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული მარიუშ პიეტრჟაკი: ჩვენი მშპ 450 მლრდ ევროთი გაიზარდა.

**ესტონეთის** ელჩი რინა კალიურანდი: ჩვენ მოვახერხეთ და შევუერთდით ევროზონას, რამაც ფინანსური სტაბილურობა მოგვიტანა.

**იტალიის** რესპუბლიკის ელჩი მასიმილიანო დანტუონო: ევროკავშირი წარმოადგენს მშვიდობას, ორმხრივი ზრდისა და საერთო უსაფრთხოების პროექტს.

**საფრანგეთის** ელჩი შერაზ გარსი: მას შეუძლია დაიცვას ჩვენი უსაფრთხოება, ჩვენი თავისუფლებები, ჩვენი ღირებულებები.

**რუმინეთის** ელჩი რაზვან როტუნდუ: ამჟამად ქვეყანა განვითარების უპრეცედენტო დონეზე იმყოფება.

**საბერძნეთის** ელჩი მარია თეოდორუ: ევროკავშირში გაწევრება მიიჩნეოდა, როგორც ქვეყნის ეკონომიკის და საზოგადოების მოდერნიზაციისა და განვითარების მთავარი ფაქტორი.

**ლატვიის** რესპუბლიკის საელჩო, მრჩეველი ლოლიტა ლენკევიჩა: როგორც ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, ჩვენ უსაფრთხო, წესებზე დაფუძნებულ სამყაროს ვაშენებთ.

**ჩეხეთის** რესპუბლიკის ელჩი პეტრ კუზენატი: ევროკავშირში გაწევრება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობისა და უსაფრთხოებისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს.

**სლოვაკეთის** რესპუბლიკის ელჩი მატუშ ბუშოვსკი: ევროკავშირის წევრობა არის თანამეგობრობის ნებისმიერ ქვეყანაში მოგზაურობის, მუშაობის და სწავლის თავისუფლება.

**ბელგიის** სამეფოს ელჩი მიშელ პიტერმანსი: ევროკავშირი მტკიცედ უმკლავდება არსებულ გამოწვევებს და ამასთან უარს არ ამბობს ევროპულ მოდელზე, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას პიროვნების, თითოეული ადამიანის პატივისცემას ანიჭებს.

**ლიეტუვის** საელჩოში მისიის ხელმძღვანელის მოადგილე სალიუს ვალაინისი: ჩვენ თავს დაცულად ვგრძნობთ და ნათლად ვხედავთ ჩვენი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური არჩევანის დადებით მხარეებს .

**შვედეთის** სამეფოს ელჩი ანა ლიბერგი: ევროკავშირის წევრობით გაძლიერდა ჩვენი შესაძლებლობები ტრანსნაციონალურ გამოწვევებთან ბრძოლაში.

**ბულგარეთის** რესპუბლიკის ელჩი ვესელინ ვალკანოვი: სამშვიდობო პროექტში გაწევრებას სულიერი სიმშვიდე მოაქვს.

**ნიდერლანდების** სამეფოს ელჩი მელინე არკელიანი: ევროკავშირი ჩვენი სახლია, – აცხადებენ დიპლომატები.

**ევროკავშირთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციისთვის კი, ელჩი პაველ ჰერჩინსკი საქართველოს მოქალაქეებს ევროპის დღის აღსანიშნავად 11 აპრილს ექსპო ჯორჯიაში ეპატიჟება.**

# მოსახლეობის აღწერა წლეულს, 14-19 დეკემბერს, გაიმართება!

**საქართველოს მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიამ მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის პროგრამის განახლებული პროექტი დაამტკიცა.**

კომისიის სხდომა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა. სხდომაზე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა **გოგიტა თოდრაძემ** კომისიის წევრებს წარუდგინა ინფორმაცია აღწერის მეთოდოლოგიისა და კითხვარების შესახებ.

საქართველოს მოსახლეობის მომდევნო საყოველთაო აღწერის თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის 14 ნოემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი. ფინანსური და ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით, მოსახლეობის აღწერასთან ერთად, ჩატარდება სასოფლო-სამეურნეო აღწერაც. სოციალური და დემოგრაფიული სახის მონაცემებთან ერთად, სპეციალური კითხვარის მეშვეობით შეგროვდება ინფორმაცია შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტიურობის შესახებ. აღწერის წინასწარი შედეგები 2025 წლის ივნისში, ხოლო საბოლოო შედეგები 2026 წლის ივნისში გამოქვეყნდება.

## დემოკრატიულ საზოგადოებაში გამჭვირვალობას ალტერნატივა არა აქვს

**პრემიერ-მინისტრი ხაზგასმით ეხმაურება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის ხელახლა ინიციირებას და აღნიშნა, რომ ის თავიდან ბოლომდე გამართულია და ითვალისწინებს მხოლოდ წლიურ დეკლარირებას ფინანსებისა, რომელიც აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს და შესაბამის მედიასაშუალებებს.**

დემოკრატიულ საზოგადოებაში, დემოკრატიულ საზოგადოებრივ წესწყობილებაში, გამჭვირვალობას არა აქვს, ბუნებრივია, ალტერნატივა. აკვირდებით დებატებს, ვერავინ ასაბუთებს, თუ რატომ შეიძლება იყოს გამჭვირვალობა ცუდი. გუშინ მოვისმინეთ ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის აღიარებითი ჩვენება. მან განაცხადა, არ უნდა შევიდეთ შინაარსშიო, შინაარსი ხელისუფლების ველიაო. ანუ, უშინაარსობა არის ჩვენი ოპონენტების ველი და შინაარსი არის ხელისუფლების ველი. ამაზე უკეთეს აღიარებას, რა თქმა უნდა, ვერ ვინატრებდით. ნამდვილად ასეა, შინაარსში არის ეს ყველაფერი გამართული, კანონპროექტი თავიდან ბოლომდე გამართულია. ერთადერთი, რასაც ითვალისწინებს ეს კანონპროექტი, არის წლიური დეკლარირება იმ ფინანსებისა, რომელიც აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, შესაბამის მედიასაშუალებებს, და გვიმტკიცებენ, რომ გამჭვირვალობა არის რუსული, გაუმჭვირვალობა არის ევროპული. შარშან მოახერხეს და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიყვანეს შეცდომაში, თავდაყირა დააყენეს ღირებულებები. თუმცა, მეორედ ამას, დარწმუნებული ვარ, ვეღარ შეძლებენ...

## საზოგადოებისთვის მხოლოდ ნული ინფორმაციაა ხელმისაწვდომი

ვრცელდება ცრუ ინფორმაცია, თითქოს, მთავრობისთვის და სამთავრობო დაწესებულებებისთვის ახლაც ხელმისაწვდომია ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების თაობაზე, რაც სიცრუეა. ჩვენ ამოვიღეთ ინფორმაცია შვიდი არასამთავრობო ორგანიზაციის თაობაზე. ესენი არიან რესურსულად ყველაზე ძლიერი, მდიდარს არ ვიტყვი ამ შემთხვევაში, ასევე ექსტრემიზმით გამორჩეული არასამთავრობო ორგანიზაციები. გაირკვა, რომ 2012 წლიდან მათ მაქსიმუმ 18% აქვთ დეკლარირებული იმ ფინანსებისა, რომელსაც ხარჯავენ. კერძოდ, მთლიანი თანხა, რაც იყო ნაჩვენები, დეტალების გარეშე, იყო 85 400 000 ლარი. ეს არის ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მინიმუმ ამდენი ხარჯი აქვს გაწეული შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებს. თუმცა, ჩვენ არა გვაქვს არავითარი ინფორმაცია ამ თანხების მიზნობრიობისა და კონკრეტული წყაროების თაობაზე. აქედან დეტალური ინფორმაცია გვაქვს მხოლოდ 18%-თან დაკავშირებით, ანუ 15 400 000 ლართან დაკავშირებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 85 მილიონიდან მინიმუმ 70 მილიონი მათ აქვთ დახარჯული ყოველგვარი დეტალური ინფორმაციის წარმოდგენის გარეშე, სრულიად გაუმჭვირვალედ. ანუ მთავრობასაც კი, არავითარი ინფორმაცია არა აქვს ამასთან დაკავშირებით, არაფერს ვამბობ იმაზე, რომ თავისთავად ეს ინფორმაცია არის საგადასახადო საიდუმლოება, ანუ, მე არასამთავრობო ორგანიზაციებსაც კი ვერ ვაკონკრეტებ. შესაბამისად, საზოგადოებისთვის საერთოდ ნული ინფორმაციაა ხელმისაწვდომი!უშუალოდ სამთავრობო დაწესებულებებისთვის არის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მაქსიმუმ 18%...

# პრემიერის მთავარი სათქმელი და საზრუნავი

## გამოწვევათა პირისპირ

**ასეთ რთულ დროში ზოგიერთები კიდევ აგვისტოს ომის გამოძიებაზე ლაპარაკობენ. ახალი რა უნდა გამოიძიონ? ისედაც გასაგებია, ეს ომი როგორც დაიწყო**



# დაძლევს ქვეყნის პოლიტიკურ კრიზისს ირაკლი კობახიძე?!

**ოპოზიციად წოდებულმა კრიმინალებმა ცხრა წლის განმავლობაში სისხლი ღვარეს და დღესაც ცდილობენ ქაოსის გამოწვევას, ეს პრობლემა უნდა მოხსნას არჩევნებმა!**

**შემოდგომაზე „ქართული ოცნება“ მეოთხე ვადით შეეცდება ხელისუფლებაში დარჩენას და პარლამენტის დაკომპლექტებასთან ერთად ახალ პრეზიდენტსაც აირჩევს, რითაც წარსულს ჩაბარდება „ოცნებისთვის“ არაკომფორტული პრეზიდენტების ხანა, მათ შორის, ზურაბიშვილის ჩათვლით. საქართველოს მეექვსე პრეზიდენტს ხალხის ნაცვლად 300-წევრიანი საარჩევნო კოლეგია აირჩევს, რომელიც პარლამენტის, საკრებულოების და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებით იქნება დაკომპლექტებული. პრეზიდენტის არჩევნები ახალი მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის ჩატარებიდან 45 დღეში უნდა დაინიშნოს.**

**რა მოცემულობით მივდივართ 2024 წლის არჩევნებზე და რამდენად რთულია არჩევნებამდელი პერიოდის გავლა ხელისუფლებისა და ოპოზიციისთვის?**

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე **ნანა პაპაძე** მიიჩნევს, რომ არანაირი პრობლემა არჩევნებს არ ექმნება. ერთადერთი პრობლემა, რომელიც დღეს ანტიქართულობას გამოხატავს, ეს არის ოპოზიციად წოდებული კრიმინალები, რომლებმაც ცხრა წლის განმავლობაში საქართველოში სისხლი ღვარეს და დღესაც ცდილობენ ქაოსის განმეორებას.

**„ეს ყველაზე დიდი პრობლემა უნდა მოხსნას არჩევნებმა და ამ კრიმინალებისგან უნდა გათავისუფლდეს ქვეყანა. ეგენი აღარ უნდა ქმნიდნენ ჩვენი სახელმწიფოსთვის საფრთხეს. გადატრიალება იყო და 2003 წელს მაგათ მოახდინეს, იმის შემდეგ მუდმივად გადატრიალების რეჟიმში გვაცხოვრებენ, რადგან ვერ მოდიან ხელისუფლებაში. ველოდები, რომ ამომრჩეველი დიდი ენთუზიაზმით მივა არჩევნებზე, მით უმეტეს, თუ ხელისუფლებამ ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონი და ისეთი კანონები მიიღო, რომლებიც ჩვენი საზოგადოების სიჯანსაღეს შეუწყობს ხელს“,** – აღნიშნა **ნანა პაპაძემ** ჩვენთან საუბრისას.

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** აცხადებს, რომ დღესდღეობით ვითარება ქვეყანაში არეულია, პოლიტიკური კრიზისია, პოლარიზაციაა. ამდენად, საერთოდ გაურკვეველია, საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება თუ არა. უფრო მოსალოდნელია, ამომრჩევლები დაბალი აქტივობით მივიდნენ არჩევნებზე. შეიძლება ისეთი რამეც მოხდეს, პარლამენტი ავირჩიოთ, მაგრამ ხელახლა დაინიშნოს საპარლამენტო არჩევნები, რადგან ვერავინ შექმნას უმრავლესობა, მათ შორის, მმართველმა პარტიამაც კი.

**„სიტუაცია კრიტიკულია. საპარლამენტო სისტემაზე გადასვლა მარტივი არ არის. საპარლამენტო რესპუბლიკაში ხშირია საპარლამენტო კრიზისები. ბელგიაში 3-ჯერ თუ 4-ჯერ აირჩიეს პარლამენტი და დღესაც ბელგიის სამეფოს დროებითი პრემიერ-მინისტრი ჰყავს. ასევე მოხდა იტალიაშიც, სადაც ერთ წელიწადში სამი პარლამენტი აირჩიეს. საქართველოშიც წინასაარჩევნოდ რთული ვითარებაა. კორუფციულმა სქემებმა და ნეპოტიზმმა საყრდენი გამოაცალა მმართველ პოლიტიკურ ძალას. ვერ გეტყვით, ირაკლი კობახიძე რას შეცვლის, რადგან არც სამართლიანობა აღმდგარა, ძველი საქმეებიც თაროზეა შემოდებული, პროკურატურა მაჩანჩალა ორგანოდ იქცა და თავის ფუნქციას ვერ ასრულებს. ასეთივე საშინელება დადასტურდა ჯანდაცვის სამინისტროშიც. ამ მოცემულობით მივდივართ წინასაარჩევნო პერიოდში. ასეთ რთულ დროში ზოგიერთები კიდევ აგვისტოს ომის გამოძიებაზე ლაპარაკობენ. ახალი რა უნდა გამოიძიონ? ისედაც გასაგებია, ეს ომი როგორც დაიწყო. ამაზე უფრო დიდი პრობლემაა გადასაჭრელი, რადგან ქვეყანაში გაქანებული პოლიტიკური კრიზისია, პოლარიზაციის მაღალი დონეა. როცა ქვეყანა დაწყნარდება, სტაბილური განვითარების დონეზე გადავა, მაშინ შესაძლებელია ამ ომის გამოძიება“,** – აღნიშნა **ვახტანგ მაისაიამ.**

მანვე გაიხსენა, რომ თავადაც იყო საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და ლაფანყურის ე.წ. სპეცოპერაციას იძიებდა, მაგრამ ეს ხდებოდა 2012 წელს, როცა სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი დაემხო და საქართველოში დაიწყო სტაბილიზაციის პერიოდი, პოლიტიკური თავისუფლება, ეკონომიკური ინდიკატორი გაიზარდა, საქართველო პლურალისტური გზით მიდიოდა, რამაც ხელი შეუწყო ევროკავშირში ჩვენს ინტეგრაციას. თუმცა პანდემიამ ეს ყველაფერი უკან დასწია.

ანალიტიკოს **რამაზ საყვარელიძის** აზრით, ახლანდელი არჩევნებისკენ რთულად მივდივართ, ვინაიდან ბევრ ადამიანს არ მიუწევს გული არჩევნებზე და სადღაც 60%-ს აღწევს ასეთ ნიჰილისტთა რაოდენობა. ამ ფონზე გასაკვირი არცაა, კიდევ უფრო გაიზარდოს არჩევნებზე წასვლის სურვილის არმქონე ადამიანების პროცენტული რიცხვი.

**„ვერ ვიტყვი, რომ ხალხი არ მივა არჩევნებზე, მაგრამ ნიჰილისტური ტენდენცია შეიძლება გაჩნდეს. ეს მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი არ არის, ყველა ევროპულ ქვეყანაში ამომრჩეველთა დაახლოებით 30% მიდის არჩევნებზე, მეტი ისედაც არ მიდის. დემოკრატიას ეს ხარვეზი ახლავს. თუ შეგიძლია არ მიხვიდე არჩევნებზე, არც მიხვალ, რადგან თავისუფალი ხარ არჩევანში“,** – დასძინა **რამაზ საყვარელიძემ.**

**მანანა ნოზაძე**

# ქართულ ღვინოს ქართულ ბაზარზე „შენდობა არა აქვს“...

**საქართველოს მთავრობამ „ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა“ დაამტკიცა**




**საქართველოს მთავრობამ „ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა“ დაამტკიცა,** – ამის შესახებ ინფორმაციას **ღვინის ეროვნული სააგენტო** ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, პროგრამას სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო განახორციელებს და განაცხადების მიღებას მიმდინარე წლის 22 აპრილიდან დაიწყებს.

**„ახალი პროგრამის მიზანია, ადგილობრივ ბაზარზე ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ღონისძიებების სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმი იყოს მეტად მოქნილი და გამჭვირვალე.**

**პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საქართველოს მასშტაბით დაგეგმილი ქართული ღვინის ფესტივალები, თემატური გამოფენები, კონკურსები, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებები. პროგრამაში დეტალურად არის გაწერილი გამოფენა-ფესტივალების, კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზატორების დაფინანსება (თანადაფინანსების) პირობები და ანაზღაურების ოდენობა, იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომლებიც უნდა წარმოადგინოს პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიღების მსურველმა იურიდიულმა პირებმა.**

**აღსანიშნავია, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და მხარდაჭერით, საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიების პარალელურად, საქართველოს მასშტაბით არაერთი ღვინის ფესტივალი, გამოფენა, დეგუსტაცია და კონკურსი იმართება. აღნიშნული ღონისძიებების მიზანი ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინის და სხვა ღვინოპროდუქციის პოპულარიზაცია, მეღვინეობის დარგისა და ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ღვინის მოხმარების კულტურის ამაღლებაა.**

**პროგრამაში მონაწილეობის მსურველებისთვის განაცხადების შესავსები ფორმა განთავსდება ღვინის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე პროგრამის დაწყების დღეს“...**



# ლევან მეზონია: აფხაზეთს ელექტროენერგიას ქართული კერძო კომპანია აწვდის

**ოკუპირებულ აფხაზეთს ამჟამად ელექტროენერგია ქართული კერძო კომპანიისგან მიეწოდება, ამის შესახებ „აფხაზურ პორტალს“ შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან მეზონიამ განუცხადა.**

მას არ დაუზუსტებია, რომელ კომპანიაზეა საუბარი. მანამდე გახდა ცნობილი, რომ ენგურჰესმა მუშაობა სადგურის სადერივაციო გვირაბში კედლის დაზიანების გამო შეაჩერა. მეზონიას თქმით, სადგურის ამოქმედება კი 15 აპრილისთვის იგეგმება.

მან აღნიშნა, რომ აფხაზეთისთვის მიწოდებული ელექტროენერგია 6-7-ჯერ ძვირია, ენგურჰესის ელექტროენერგიასთან შედარებით.



**„აპრილის განმავლობაში ამ მოცულობის ელექტროენერგია (კერძო კომპანიისთვის) იქნება დასაბრუნებელი“,** – თქვა მან.

**„სიტუაცია მარტივი არაა, ნოემბერში, დეკემბერში, იანვარში, თებერვალში მთელი ელექტროენერგია აფხაზეთს მიაქვს, საერთოდ არ მაქვს ფინანსური შემოსავალი. თუ ვინმე ფიქრობს, რომ სადგური განზრახ გავაჩერეთ, ძალიან ცდება. ჩემი ინტერესია, სადგური მუშაობდეს და ფულს იღებდეს, ხელფასებს იხდიდეს, საოპერაციო ხარჯებს ფარავდეს“,** – აცხადებს **მეზონია** და დასძენს, რომ ოკუპირებულ აფხაზეთს ამჟამად რუსეთიდან ელექტროენერგია არ მიეწოდება, ამასვე მოწმობს საქართველოს ელექტროსისტემის მონაცემებიც.

**საქართველოს ეკონომიკის მინისტრ ლევან დავითაშვილს როცა ამ თემაზე კითხვა დაუსვეს, მან თქვა, რომ არ იცის(!), რომელ კომპანიაზე ლაპარაკობს მეზონია.**

# საქართველოს ეკონომიკის აკადემიკოსი

## გამოჩენილი მეცნიერი მიხეილ ჯიბუტი 70 წლისაა



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ჯიბუტი დაიბადა 1954 წლის 11 აპრილს ჩოხატაურში, სოფელ შუა-ამაღლებაში.**

1971 წელს წარმატებით დაამთავრა შუა – ამაღლების საშუალო სკოლა და იმავე წელს შრომითი საქმიანობა დაიწყო. 1972 წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით. მესამე კურსიდან სწავლა განაგრძო მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც, იმავე სპეციალობით, 1977 წელს დაამთავრა. აღსანიშნავია, რომ მ. ჯიბუტი საკუთარი პროფესიული არჩევანის ერთგულია და არასდროს შეუცვლია შემდგომ მრავალმხრივი სამეცნიერო, პედაგოგიური, სახელმწიფო, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი საქმიანობისას.

1977-1980 წლებში სწავლობდა თბილისის ი. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის (თსუ) ეკონომიკის ფაკულტეტის ასპირანტურაში. ის არის ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი (1980) და ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (1990).

2022 წლიდან მ. ჯიბუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია.

მას გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი აქტუალური პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობის ნაშრომი. მათ შორის, პირველი სამეცნიერო ნაშრომები ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში (1973). მ. ჯიბუტის შრომების ძირითადი თემატიკა პოლიტეკონომიაა. მის მიერ დადგენილი კანონზომიერებების საქართველოს ეკონომიკაში განხორციელების შესწავლა, საქართველოს ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა ელემენტისა და მექანიზმის ფუნქციონირების სპეციფიკის დადგენა, შემდგომ მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით მ. ჯიბუტის პრეროგატივაა.

პროფ. მ. ჯიბუტის სამეცნიერო ინტერესების სფერო მრავალფეროვანია, რაც გამოწვეულია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესებზე მისი კვლევების განსაკუთრებული ფოკუსირებით. მისი ბევრი დებულება და დასკვნა ადაპტირებულია ნორმატიულ აქტებში. კერძოდ, საქართველოს კანონებში: „სახელმწიფო ვალის შესახებ", „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", „საქართველოს საგადასახადო კოდექსი", „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ". ასევე, მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მომზადდა პროექტები: მთავრობის „საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა", „სოციალ-ეკონომიკური განვითარების პირველი ინდიკატური გეგმა" და სხვ.

მ. ჯიბუტმა პედაგოგიური მუშაობა თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში დაიწყო (1977). იყო თსუ მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი (2005 – 2006). სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია II-ის ლოცვა კურთხევით 2009-2019 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკის მიმართულების შექმნასა და მისი სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ფუნქციონირებას. ასწავლიდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი. მნიშვნელოვანია მ.ჯიბუტის შედეგები კადრების აღზრდაში. მისი ხელმძღვანელობით, საქართველოს ეკონომიკის პრობლემატიკაზე დაცულია ათობით სამაგისტრო და 12 სადოქტორო დისერტაცია.

მ. ჯიბუტი 1981-1991 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უმცროს, უფროს, წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად, საქართველოს ეკონომიკის განვითარების გამოცდილების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილების გამგედ.

ბატონი მიხეილი სხვადასხვა დროს იყო საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი - საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის წევრი (1992-1993), საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე (1999-2000), საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ფასების სახელმწიფო ინსპექციის უფროსი (2000-2001), საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე (2001-2002), საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე (2002-2005), საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის (1992-1995), საქართველოს პარლამენტის (1995-1999) და თბილისის საკრებულოს (2002) წევრი. დაწყებული 1992 წლიდან ინტენსიურია მისი თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ის ხელმძღვანელობდა საქართველოს დელეგაციას 1993 წელს ვაშინგტონში, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წლიურ შეკრებაზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მიხეილ ჯიბუტის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის ლოგიკური გაგრძელება საქართველოს ეკონომიკის კვლევებისა და ეკონომიკური მეცნიერების პოპულარიზაციისთვის. ასობით საავტორო გადაცემა ტელევიზიით, თუ ეკონომიკური პუბლიცისტური ნაშრომი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართველი საზოგადოების ეკონომიკური აზროვნების ფორმირებაში.

მ. ჯიბუტმა როგორც მეცნიერ-ეკონომისტთა შორის, ისე ფართო საზოგადოებაში, აღიარება მოიპოვა და ამის მიზეზი მისი გავლილი ცხოვრებისეული გზა და მეცნიერებისადმი ერთგულებაა. მისი სამეცნიერო-პედაგოგიური, თუ საზოგადოებრივ – პოლიტიკური თანამდებობრივი მდგომარეობის მიუხედავად, ის მუდმივად იყო დაკავშირებული საქართველოს ეკონომიკასთან და საქართველოს ეკონომიკური საკითხების მეცნიერულ კვლევასთან, ეკონომიკური მეცნიერების ორგანიზებასთან, სწავლებასა და პოპულარიზებასთან. ამის უმაღლესი შეფასება იყო 2002 წელს ღირსების ორდენით დაჯილდოვება და 2022 წლის 14 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრების მიერ აკადემიკოსად არჩევა საქართველოს ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებთა განყოფილებაში სპეციალობით „საქართველოს ეკონომიკა".

აკადემიკოს მიხეილ ჯიბუტის მეცნიერული საქმიანობის ამჟამინდელი მთავარი მიმართულება საქართველოს ევროპული პერსპექტივის რეალიზების პროცესისთვის ინტელექტუალური მხარდაჭერაა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გულითადად ულოცავს ბატონ მიხეილს 70 წლის იუბილეს. უსურვებს ბედნიერ წელთა სიმრავლეს, წარმატებას პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# ჯამლეტ ხუხაშვილის პატივგება




**რუსთაველის ეროვნულმა თეატრმა საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით გამართულ ჯამლეტ ხუხაშვილის საიუბილეო საღამოს უმასპინძლა. ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე; ქალაქ თბილისის მერი კახი კალაძე; კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი და სხვადასხვა უწყებათა მინისტრები და ქვეყნების ელჩები, ჯამლეტ ხუხაშვილის მეუღლე ევა გაბალაშვილი; ოჯახის წევრები; კოლეგები და სპორტული სამყაროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ნუკრი კაპანაძე, ეკა მამალაძე, მაია ჯაბუა, ანრი ჯოხაძე, ბაიარ შაჰინი, ჯემალ სეფიაშვილი, ნეკა სებისკვერაძე, ჯგუფი „ფორტე", აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, მსახიობი ნანა ფაჩუაშვილი. ღონისძიებას უძღვებოდნენ მარინა კახიანი და ნიკოლოზ წულუკიძე, რომლებმაც დამსწრე საზოგადოებას ჯამლეტ ხუხაშვილის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები გააცნეს. საღამოს რეჟისორი იყო ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გოჩა კაპანაძე.

**ჯამლეტ ხუხაშვილი 1963 წლიდან იყო სპორტული კომენტატორი. იგი იყო ტელეკომპანია „იმედის" თანამშრომელი, სპორტულ რადიო „ჯაკოს" გენერალური დირექტორი, 1994 წლიდან – საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების უფროსი, 1990 წლიდან – კალათბურთის კლუბ „მაკაბის" პრეზიდენტი. იყო საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თავმჯდომარე. თბილისის საპატიო მოქალაქე, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ივანე ჯავახიშვილისა და ოლიმპიური ორდენების კავალერი. 1998 წელს ქართული სპორტის განვითარებასა და პოპულარიზაციაში, ასევე, ქართველი და ებრაელი ხალხების ურთიერთობის განმტკიცებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის იგი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.**

ჯამლეტ ხუხაშვილი 2023 წლის 5 აპრილს გარდაიცვალა.



# მასწავლებლის ეროვნული პრემიის – 10 000 ლარის მოლოდინში

**2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის ფარგლებში განაცხადების მიღება 22 აპრილს დაიწყება და 5 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება** – ამასთან დაკავშირებით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **გიორგი ამილახვარმა** პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

**„გასულ წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ერთ-ერთი ყველაზე დამსახურებული და ღირსეული პროფესიის დაფასებისთვის დავაწესეთ მასწავლებლის ეროვნული დღე, რომელიც იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს 27 ოქტომბერს ყოველწლიურად მთელი ქვეყნის მასშტაბით აღინიშნება. კონკურსი წინა წელს პირველად ჩატარდა და მასში მასწავლებლების ჩართულობა საკმაოდ მაღალი იყო. წელს უკვე ვემზადებით რიგით მეორე კონკურსისთვის და 22 აპრილიდან ვიწყებთ პირველ ეტაპს – განაცხადების მიღებას.**

**2024 წლის კონკურსი უფრო მასშტაბური იქნება – ჩაერთვება კიდევ უფრო მეტი პედაგოგი და საბოლოო ღონისძიებამდე საქართველოს ყველა რეგიონში და მუნიციპალიტეტში გაიმართება სხვადასხვა წინასწარი აქტივობა, რაც უზრუნველყოფს კონკურსის მიმდინარეობის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. მოვუწოდებთ ყველა პედაგოგს, რომ იაქტიურონ. წელს გვექნება გარკვეული სიახლეები. კერძოდ, კონკურსი იქნება შინაარსობრივად მეტად დატვირთული. ჩვენ, სხვა მნიშვნელოვან რეფორმებთან ერთად, ვაგრძელებთ მასწავლებელთა მხარდაჭერას და მათი პროფესიის დაფასების მიზნით არაერთი ნაბიჯის გადადგმას. აღსანიშნავია, რომ წელს, ისევე, როგორც შარშან მასწავლებლის ეროვნული პრემიის ფარგლებში, სპეციალურად შერჩეული კომისიის მიერ, გამოვლინდება გამარჯვებულები, რომელთაც მასწავლებლის ეროვნული პრემია გადაეცემათ".**

ღვაწლმოსილ პედაგოგებს გადაეცემა მასწავლებლის ეროვნული პრემია – სპეციალურად შექმნილი სამკერდე ნიშანი და ფულადი ჯილდო 10 000 ლარის ოდენობით.

№43. ოთხშაბათი, 10 აპრილი, 2024 წელი

# 1989 წლის 9 აპრილი




## კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდია

**ზვიად გამსახურდია მოათავსეს მეორე კორპუსში, სიკვდილმისჯილთა კამერებთან ახლოს, რომელთა შეძახილები და ყვირილი დღე და ღამე ისმოდა. მას ჰქონდა მოწამვლის აშკარა ნიშნები, აწუხებდა ასფიქსია, კიდურების დამძიმება, წნევის ცვალებადობა. ეს დაადასტურეს წითელი ჯვრის ექიმებმა, რომლებმაც ის საპყრობილეში მოინახულეს.**

**9 აპრილის ღამესთან დაკავშირებით აღძრული საქმის გამოძიება საკუთარ თავზე აიღო ქალაქ თბილისის პროკურატურამ. ამავე დროს ცენტრიდან ჩამოვიდა სსრკ-ის გენერალური პროკურორის მოადგილე კატუსევი, რომელიც გამოთქვამდა მოსაზრებას ამ მიტინგის გამოკვეთილად ანტისაბჭოთა ხასიათზე და სახელმწიფოსათვის დიდი საფრთხის შემცველად მიიჩნევდა მას. ამიტომაც იგი მიზანმიმართულად თვლიდა საქმე გადაეგზავნათ მოსკოვში. ამას, ცხადია, პატიმრების გადაყვანაც მოჰყვებოდა, სავარაუდოდ, ისევ ლეფორტოვოს ციხეში. გამორიცხული არ იქნებოდა მათი არც ქვეყნიდან გაძევება, რადგან საეჭვოა, პოლიტიკურ საფუძველზე ხანგრძლივი პატიმრობის შემთხვევა დაეშვათ სსრკ-ში. აქაც გამოიკვეთა გარკვეული დაპირისპირება ცენტრალურ და რესპუბლიკურ ორგანოებს შორის: ფაქტია, რომ საქართველოს პროკურატურამ საქმე არ დათმო. ცენტრმა ისევ უკან დაიხია.**




9 აპრილის დარბევიდან მალევე თბილისში ჩამოვიდა სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიიდან სახალხო დეპუტატად არჩეული აკადემიკოსი სახაროვი

9 აპრილის დარბევიდან მალევე თბილისში ჩამოვიდა სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიიდან სახალხო დეპუტატად არჩეული აკადემიკოსი სახაროვი. იგი მივიდა აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში და შეხვდა ამავე ინსტიტუტის დირექტორს, აკად. **თამაზ გამყრელიძეს**. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **თამაზ გამყრელიძე**, ასევე, აირჩიეს მოსკოვში, სახალხო დეპუტატად და მალე მან ისტორიული სიტყვა წარმოთქვა მოსკოვში, სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, 9 აპრილის მოვლენების შესახებ, როდესაც, ფაქტობრივად, მომხდარში პირდაპირი პასუხისმგებლობა დააკისრა გენერალ იგორ როდიონოვს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს, რომელიც ასევე იმყოფებოდა სესიაზე. მანვე ძერჟინსკის დივიზიას „მკვლელთა რაზმეული“ უწოდა. აკად. სახაროვი სწორედ მისი კაბინეტიდან დაუკავშირდა სამხედროებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში და ცდილობდა გაეგო ამ გაზის შემადგენლობა, რომელიც გამოიყენეს აქციის დარბევისას. სამხედროები მონოტონურად უმეორებდნენ, რომ ეს იყო ცრემლსადენი გაზი „ჩერიომუხა“, იგივე CN და CS, ან გაზი, რომელსაც პოლიცია იყენებს ხოლმე დემონსტრანტების გასაფანტავად. თუმცა არავის ჰქონია ახსნა, რატომ გამოიწვია ასეთი მძიმე ფორმის ასფიქსია ჩვეულებრივმა ცრემლსადენმა გაზმა.

**ზურაბ ჭავჭავაძის** სტატიაში, რომელიც „ახალგაზრდა ივერიელში“გამოქვეყნდა, დასმულია საკითხი, კიდევ რომელი ქიმიური ნივთიერებები იყო გამოყენებული იმათ გარდა, რომლებიც სამხედროებისგან ისედაც ცნობილი იყო. იგი მიდიოდა დასკვნამდე, რომ აქ გამოყენებული იყო უცნობი მომწამვლელი ნივთიერება, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ელემენტები – ბისმუტი და გოგირდი, ეს გარემოება მას შემდეგ გაირკვა, როცა ხელმისაწვდომი გახდა 9 აპრილს გამოყენებული ქიმიური იარაღის ჭურვები, რომელთა შიგთავსსაც ჩაუტარდა ქიმიური ანალიზი. ზურაბ ჭავჭავაძე ამავე სტატიაში წერს:

**„9 მაისს მე შევხვდი დასავლეთ გერმანიიდან ჩამოსულ ექიმებს, დოქტორ ვოლფგანგ ფრიკეს და დოქტორ რაინჰარდ კაულს, რომლებიც IV სამმართველოს II საავადმყოფოში მოთავსებულ ავადმყოფებს სინჯავდნენ. მათ მითხრეს, რომ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე: მოწამლულთა სიმპტომატიკა არ ჯდება CS გაზით მოწამვლის კლინიკაში, და როგორც ჩანს, მათი ნაწილი მოწამლულია რომელიღაც მძიმე მეტალით“.**

9 აპრილის მოვლენების შემსწავლელი კომისიის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში არ ყოფილა ნახსენები მძიმე ლითონის შემცვლელი ტოქსიკური ნივთიერების გამოყენების ფაქტი.

ოპონენტების შეფასებით, 9 აპრილის ტრაგედია, ნაწილობრივ, ქართული ეროვნული მოძრაობის მოუქნელობისა და პოლიტიკური სიბეცის შედეგიც იყო. მაგალითად, **გოგა ხაინდრავა** თვლის, რომ პატრიარქის მოწოდებისთვის ხალხს უნდა დაეჯერებინა და ქაშვეთში სალოცავად გადასულიყო: „ხომ წარმოგიდგენიათ, იქ პატრიარქს რომ ლოცვა დაეწყო? სასულიერო პირები ბევრნი იყვნენ, ეპისკოპოსები ბრძანდებოდნენ, სხვა მღვდლები და იქ ისეთი მისტიკა იქნებოდა, ტანკები გზაში დადნებოდნენ“.



მაგრამ ქაშვეთში გადანაცვლებას ერთი სირთულე ექნებოდა – აქციაზე, დაახლოებით, 20 ათასი მონაწილე იყო, ხოლო ქაშვეთში – როგორც ტაძარში, ისე ეკლესიის ეზოში მაქსიმუმ 1000 ადამიანი დატეულიყო. ამასობაში შინაგანი ჯარი მთავრობის სახლის წინ მოშიმშილეების ადგილს დაიკავებდა და ლოცვის დასრულებისას (ანუ არა დასრულებამდე, ეს არავინ იცის) დაშლა მოუწევდათ როგორც ტაძარში, ისე მის გარეთ მყოფთ. აქ ნაკლებად სავარაუდოა, რომ სპეცრაზმი დაელოდებოდა ხალხის დაშლას – იგი აქტიურად ეცდებოდა დაშლასაც და დასჯასაც. ანუ იმას, რისთვისაც თბილისში ჩამოიყვანეს. გავიხსენოთ, რომ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ბაქოში „დაშლილ“ ხალხს სპეცრაზმელები სახლებამდე მისდევდნენ და სადარბაზოებში ხოცავდნენ. გარდა ამისა, თავად ეს შემოთავაზებაც იმისთვის კი არ გაკეთებულა, რომ რუსთაველზე მყოფ მომიტინგეებს პოზიციები გაემაგრებინათ, არამედ იმისთვის, რომ მათ ელოცათ აქციის დასრულების ნიშნად და დაშლილიყვნენ, ხოლო პატრიარქი მათ ამის კურთხევას აძლევდა.

შექმნილი განწყობიდან გამომდინარე, ვერცერთი ლიდერი ხალხს ვერ დაარწმუნებდა დაშლის აუცილებლობაში. ასევე დესტრუქციული როლი ითამაშა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის სრულიად შეუვალმა და ხისტმა პოზიციამ. ჯუმბერ პატიაშვილმა ვერ გამონახა საშუალება, შეხვედრა და დიალოგი გაემართა ხალხსა და „არაფორმალური ორგანიზაციების“ ლიდერებთან. დიალოგის პროცესი კი გართულდებოდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხმა დაირხა, რომ სსრკ-ის შინაგანი ჯარების შემოყვანა კომპარტიის ცეკას ბიუროს გაფართოებულმა სხდომამ მოითხოვა. აქციიდან კუდამოძუებული წასვლა პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანებისთვის ნიშნავდა ისევ იმავე სიტუაციაში დაბრუნებას, რაც 4 აპრილამდე იყო: გაურკვევლობა, როდესაც არ იციან, რეპრესიები დაიწყება თუ არა, ამის პარალელურად – გათავხედებული სეპარატისტები და უმწეო რესპუბლიკური მთავრობა, რომელსაც მართვის სადავეები ხელიდან გაექცა.

9 აპრილის ერთ-ერთი პოლიტიკური შედეგი ისიც იყო, რომ თანამდებობიდან გადააყენეს საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი. მის მაგივრად დაინიშნა სუკ-ის თავმჯდომარე, მანამდე ნაკლებად ცნობილი გივი გუმბარიძე. საქმე იმდენად პერსონალიებში არ იყო – პატიაშვილის წასვლა ნიშნავდა კომუნისტური ხელისუფლების ხისტი, ძველ მეთოდებზე ორიენტირებული სტილის დასასრულს. ეს იყო, პრაქტიკულად, მისი ჩამოშლის დასაწყისი. ამ ყოველივეს წინ უძღოდა მოსკოვიდან პოლიტბიუროს წევრების, საგარეო საქმეთა მინისტრის, **ედუარდ შევარდნაძისა** და **გიორგი რაზუმოვსკის**, ჩამოსვლა, რომლებიც საქართველოში მიხეილ გორბაჩოვმა გამოგზავნა. შევარდნაძემ გამართა რამდენიმე შეხვედრა შემოქმედებით კავშირებში, რომლებშიც ტრადიციულად მისადმი ლოიალურად განწყობილი ადამიანები დომინირებდნენ. ყოფილ ცეკას პირველ მდივანს მოუწია არაერთი მძაფრი, კრიტიკული და აგრესიული გამოსვლის მოსმენა. მისთვის ცხადი გახდა, რომ ხალხის განწყობა რადიკალურად იყო შეცვლილი 9 აპრილის შემდეგ.

რაც შეეხება აქციის მოთხოვნებს: „ივერიის“ წერილის მიხედვით, ასევე შეცდომა იყო „ქართული ეროვნული მოძრაობის“ მიერ 6 აპრილის შემდეგ მიმდინარე აქციაზე აფხაზეთის საკითხის მოხსნა და სსრკ-დან საქართველოს გამოყოფის საკითხის წამოყენება, რაც იმჟამად სრულიად უპერსპექტივო მოთხოვნას წარმოადგენდა. გამოდის, რომ ეროვნულ მოძრაობას უნდა მოეთხოვა აფხაზი მაღალჩინოსნების დასჯა. მაგრამ დასჯა რისთვის, მხოლოდ „ლიხნის წერილის“ შედგენისთვის? საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას ამის რესურსი, ცხადია, არ ექნებოდა, ამიტომ ამ მოთხოვნის ადრესატი უნდა ყოფილიყო სსრკ-ის ცენტრალური ხელისუფლება. ეს მოთხოვნა ტიპოლოგიურად რაღაცით ჰგავს მეზობელი რესპუბლიკის „ყარაბაღის კომიტეტის“ მოთხოვნას მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის აზერბაიჯანისთვის მოწყვეტისა და სომხეთისთვის მიერთების შესახებ. ერევანში ხომ გარკვეულ ეტაპზე ჩათვალეს, რომ სომხეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნა უპერსპექიტივო საქმე იყო და, თითქოს „პერსპექ-



ზაფხულში, ზვიადი და მერაბი შეხვდნენ თბილისში სტუმრად მყოფ მოწყალების ორდენის დამაარსებელ დედა ტერეზას.

ტიული“ შესრულებადი მოთხოვნები წაუყენეს სსრკ-ის ხელმძღვანელობას. მაგრამ ცნობილია, რომ ამ მოთხოვნების შესრულებაზე არავის უფიქრია. სსრკ ისე დაიშალა, რომ ყარაბაღის ავტონომიური ოლქი სომხეთს ოფიციალურად არ მიერთებია.

ისტორიკოსი დ. შველიძე უკრიტიკოდ იღებს თეზისს, თითქოს 4 აპრილს აქცია მთავრობის სახლთან „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ“ წამოიწყო. ხალხი ამ აქციაზე სტადიონიდანაც და შემდგომაც **თამარ ჩხეიძისა** და **ზურაბ ჭავჭავაძის** ავტორიტეტის გამო ნამდვილად არ მოსულა, არამედ ხალხმრავალი იყო იმის გამო, რომ მოძრაობის ლიდერებად ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ეგულებოდათ. თედო პაატაშვილი, „წმინდა ილია მართლის საზოგადოების“ აქტივისტი წერს იმ სიტუაციაზე, რომელიც 9 აპრილის დარბევისა და თბილისში კომენდანტის საათის გამოცხადების შემდეგ დედაქალაქში იყო:

**„10 აპრილს შეიქმნა „ეროვნული ხსნის კომიტეტი“, რომლის წინაშეც სამი ძირითადი ამოცანა იდგა: მსოფლიოს გაეგო სიმართლე თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ, ეროვნული მოძრაობის დაპატიმრებულ ლიდერთა გათავისუფლება და თავიდან აგვერიდებინა თბილისის უბნებში არსებული თუ რეგიონებიდან ჩამოსული პატარ-პატარა შეიარაღებული ჯგუფების დედაქალაქში აშკარად გამომწვევად მოსეირნე საბჭოთა პატრულებზე თავდასხმა, რაც ერთგვარად გაამართლებდა მათ მიერ ჩადენილ მხეცობას“.**

1989 წლის 19 მაისს, მას შემდეგ, რაც ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი, მათ შორის, პოეტი **ჯანსუღ ჩარკვიანი,** ასევე უნივერსიტეტის პრორექტორი **ვახტანგ გოგუაძე,** პოლიტპატიმრებს თავდებად დაუდგნენ, ისინი გაათავისუფლეს. ჯანსუღ ჩარკვიანი ივლისში ამის თაობაზე წერდა:

**„ისინი დღეს გარეთ არიან და ჩვენთან ერთად იბრძვიან საქართველოს მომავლისთვის, განა ესეც ჩვენი დიდი მწერლის სახელით არ გაკეთდა?.. დიახ, ერთად, მხოლოდ ერთად, ჩვენ ტანკი არ გვაქვს, არც ქიმიური მომწამვლელი ნივთიერება, ამიტომ ჩვენი ძალა ერთობაშია“.**

რესპუბლიკაში უცნაური ამბები ხდებოდა: მწერალთა კავშირში მწერალთა ერთმა ნაწილმა პირდაპირ დაყარა კომუნისტური პარტიის მანდატები. იგივე ხდებოდა სხვადასხვა დოტაციურ ორგანიზაციაშიც, სადაც ხალხი მასობრივად ტოვებდა კომუნისტური პარტიის რიგებს.

იმავე წლის 26 მაისს იყო ნამდვილი აღდგომა. გრანდიოზული მიტინგები ჩატარდა როგორც უნივერსიტეტის ბაღში, ისე ვაკის პარკში. ხალხს სიტყვით მიმართეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ. ზვიად გამსახურდიამ თავის სიტყვაში, რომელიც უნივერსიტეტის ბაღში წარმოთქვა ასეთი შედარება მოიყვანა:

**„მაგრამ მე შეგახსენებთ წარსულს: როდესაც კბილებამდე შეიარაღებულ რომის იმპერიას უპირისპირდებოდნენ ერთი შეხედვით სუსტი, მაგრამ მართალი ქრისტიანები, და ის იმპერია დაილეწა და დაიმსხვრა, როგორც თიხისფეხებიანი კერპი, ხოლო ქრისტიანობა ჰგიებს უკუნისამდე. ასევე ჰგიებს საქართველო უკუნისამდე. რამეთუ მართალია ჩვენი გზა“.**

იმავე ზაფხულს ორივე, ზვიადიც და მერაბიც, ესწრებოდა „სახალხო ფრონტის“ დამფუძნებელ ყრილობას, საიდანაც ისინი ყრილობის მონაწილეთა დიდ ჯგუფს წარუძღვნენ დარეჯანის სასახლისკენ, სადაც იმყოფებოდა თავისი ქველმოქმედებით, უპოვართა და დავრდომილთათვის დაუღალავი მოღვაწეობით მსოფლიოში ცნობილი კათოლიკე მონაზონი, მოწყალების ორდენის დამაარსებელი, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი **დედა ტერეზა**. იგი აქ მოსკოვში მცხოვრებ მოქანდაკეს, **ზურაბ წერეთელს** ჩამოეყვანა. დედა ტერეზა გამოვიდა მანიფესტანტებთან და სიტყვით მიმართა მათ, საბედნიეროდ, შემონახულია ამ შეხვედრის ამსახველი ფოტოები. ზვიადი და მერაბი დედა ტერეზას მოკლედ მოუყვნენ, რა მოხდა 9 აპრილის ღამეს. დედა ტერეზამ განაცხადა, რომ იგი არასწორად იყო ინფორმირებული – თითქოს ამ ღამეს ადამიანებმა ერთმანეთი გადაჭყლიტეს. ერთობლივი ლოცვით ჩვენ მსოფლიოსთვის დიდ საქმეს გავაკეთებთო, – განაცხადა მან.

**(გაგრძელება იქნება)**



# ბედი და ბედისწერა



## ფიქრები რუსთაველის ახალი პორტრეტის გამო

**ჭეშმარიტი პოეტის ბედი და ბედისწერა, საზოგადოდ, სრულიად ამბივალენტური ბუნებისა ჩანს; ის სწორედ ამ საბედისწერო ტრაგიზმით გამოირჩევა სხვა ღვთივდანაბადთა შორის.**

**ერთი მხრივ, იგი რჩეულია რჩეულთა შორის („მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“), რაკი სწორედ მას მოჰმადლა დამბადებელმა ნიჭი ახლის შემოქმედისა, გაუხსნა თვალი გონებისა და მიანიჭა მადლი სიტყვისა...**

**მეორე მხრივ, იგი არ არის შექმნილი ამქვეყნიური ცხოვრებისთვის, მისი ნიჭი, მისი შემოქმედებითი უნარი მისივე ჯვარცმაა ამქვეყნიური („რომელმან შეიძინა მეცნიერება, შეიძინა ვნება“)...**

ბედისა და უბედობის ეს ამქვეყნიური ჯვარი განცდილი და გააზრებული აქვს ყველა ჭეშმარიტ შემოქმედს. აი, როგორ ხატავს გალაკტიონის გენიის მოვლინებას შოთა ნიშნიანიძე: „სთქვეს ერთხელ სამთა ანგელოსთა, როგორ დავბადოთ კაცი, ყველაზე ბედნიერი და უბედურიც?..“ იმსჯელეს და გადაწყვიტეს შექმნან იგი ყველაზე „მდიდარ“ ადამიანად, „ოღონდ დავბადოთ... უთუოდ მგოსნად და უთუოდ საქართველოში!“ (ე.ი. პოეტის ბედისწერა საქართველოში მაინც სულ სხვაა!). ხოლო იგივე ანგელოსები, ანა კალანდაძის შესანიშნავი ლექსით, პოეტის მოვლინებას ამგვარ ბეჭედს ასვამენ: „– ბედი ჰქონდეს! – თქვა შავთვალა ანგელოსმა, – ბედი ჰქონდეს? ხა, ხა, ხა, ხა, არასოდეს!.. – სთქვა სატანამ...“

მართალია, ჩვენ ერთი დეტალიც არ ვიცით დიდი შოთა რუსთაველის რეალური ბიოგრაფიისა, მაგრამ უკვე ეს არცოდნა გვიდასტურებს, რომ შეუძლებელია სხვაგვარად გავიაზროთ ბედი და ბედისწერა გენიალური მოაზროვნისა და პოეტისა.

განა ვინმემ შეიძლება წარმოიდგინოს, რომ ისეთი ზებუნებრივი ნიჭის შემოქმედი, როგორიც იყო შოთა რუსთაველი, იმდროინდელი ისტორიული პერიპეტიებისაგან განრიდებული, „კომფორტულ“ სიმშვიდეში აღასრულებდა თავის შემოქმედებით მისიას?!

ყველა შესაძლებელი წარმოსახვა საქართველოს ისტორიიდან „დიდი საშლელით“ ამოშლილი პოეტის ბიოგრაფიისა მეტყველებს იმას, რომ ეს ასე არ ყოფილა (თავად „ამოშლილობაა“ ამისი არგუმენტი). ხოლო თუ რუსთაველის მასშტაბური პოეტური ჭვრეტის დეტალებს დავაკვირდებით, თვალში სწორედ ეს ტრაგიზმი გვეცემა. მივაყურადოთ მის გულისთქმას:

**„მიმნდონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან,**
**იშვებენ, მაგრა უჭიროდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან;**
**ვაქებ სიმხნესა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან!“**

ანუ, დიდი პოეტის კონცეფციით, შემოქმედის სიბრძნე განრიდებაში და გარინდებაში კი არ არის, არამედ მხნეობასა და ურჩებაში.

ამიტომაც რუსთაველი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ განრიდებულად და განზე მდგომად იმ ისტორიული პერიპეტიებისაგან, რომლებიც ქვეყნის ისტორიული გზის არჩევანს უკავშირდებოდა.

ამიტომაც უსამართლოა ისტორიაც და მეცნიერებაც, რომელიც პოეტის მოღვაწეობის აქტიურ პერიოდს ფაქტობრივ აცდენს იმ ისტორიულ ეპოქას, იმ კონცეპტუალურ პაექრობას, რომლის ცენტრალურ ხაზსაც პოემის იდეური განაზრახი წარმოგვიდგენს.

აშკარაა: შოთა რუსთაველის შემოქმედებითი ბედი (ღვთივმონიჭებული პოეტური ტალანტი) და მისივე სამოღვაწეო ბედისწერა ფატალურად დაპირისპირებული აღმოჩნდა ერთმანეთთან, იმდენად სასტიკად, რომ ისტორიამ არსებითად წაშალა ამ დიდი მოაზროვნის რეალური ცხოვრების ყოველი დეტალი.

რუსთაველს არ გაუმართლა არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი, უნდა ვივარაუდოთ, რეპრესირებული აღმოჩნდა გამარჯვებული მმართველი ძალისაგან, არამედ, არანაკლებ, იმიტომ, რომ წამყვანმა შემოქმედებითმა ელიტამ ან ვერ გაიგო, ან განზრახ დაამახინჯა ის სიბრძნე და წინასწარმეტყველური განსჯა, რასაც პოემა ქართველს უქადაგებდა (სახალხო სიყვარული, რომელმაც ასე თუ ისე გადაარჩინა ნაწარმოები დაღუპვას, სრულიად სხვა ფენომენია).

დიახ, რუსთაველის გენია დაჯილდოებული იყო წინასწარმეტყველური ჭვრეტის უნარით და მან წინასწარ განჭვრიტა ისტორიის განვითარების არსებითად ყველა დეტალი, რასაც, ჩვეულებისამებრ, თანამედროვენი მტრობად სახავენ ხოლმე („არა-ვინ წინასწარმეტყუელი შეწყნარებულ არს სოფელსა თვისსა“).

ამიტომაც არ აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ ადგილი არცერთ დაცულ წიგნსაცავში.

ამიტომაც დაიწყო სასულიერო წრემ პოემის ავტორის მორალური შეფასება.

ამიტომაც მისცა თავს უფლება ყველამ (გვირგვინოსანმაც და მდივან-მწიგნობარმაც) აზრისა და სიტყვის დიდოსტატისთვის ნათქვამი ესწორებინათ და „დაკლებული“ შეევსოთ!..

ნიშანდობლივია, რომ პოეტის მოღვაწეობიდან დაახლოებით სამ-ნახევარი საუკუნის შემდგომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი უკვე საფუძვლიანად არის შერყვნილი. უპირველესად იგულისხმება ცნობილი სასულიერო მოღვაწის, იოვანე ავალიშვილის მიერ შექმნილი ნუსხა მე-16 საუკუნის ბოლოს. კერძოდ, უკვე ამ ხელნაწერს პირველ სტროფად „ამშვენებს“ არა გენიალური დასაწყისი – „რომელმან შექმნა სამყარო...“, არამედ სასტიკი მორალური ვერდიქტი:

**„პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,**
**უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქმნ ხორც არ სულად,**
**საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთარსულად,**
**თუ უყურა მონაზონმან, შეიქნების გაპარსულად.“**

როგორც ვხედავთ, აქ უკვე დომინირებს პოემის „სპარსულობის“ ის აზრი, რომელსაც, ცხადია, საფუძველი დაუდო ნაწარმოების პროლოგის ტაეპმა – „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები...“, რაც (თუ ის ნამდვილად ავტორს ეკუთვნის) აშკარად არის გამოხატულება სიუჟეტური შენიღბვის ხერხისა...

რაც მთავარია, უთუოდ ეს აღმოჩნდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრატორები ამ დროის ხელნაწერებში, განსაკუთრებით მამუკა თავაქარაშვილის ნამოღვაწარში, უგამონაკლისოდ ხატავენ პოემის პერსონაჟებსა და თავად ავტორსაც კი აღმოსავლური მინიატიურების სტილისტიკით (ყველა თავისი დეტალით და აქსესუარებით). სწორედ ამის გავლენით საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ერთგვარი სტერეოტიპი, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ აღმოსავლურ გამომსახველობას დაუკავშირა და ამას ახალმა ქართულმა მხატვრობამაც და პოლიგრაფიამაც კი ვერ დააღწია თავი. არადა, უეჭველია, „ვეფხისტყაოსანი“ ესთეტიკითაც და მსოფლმხედველობრივადაც ევროპული რენესანსის სათავეებს წარმოგვიდგენს.

უპირველესად სწორედ ამ თვალით უნდა შევხედოთ ცნობილი მხატვრის, ორიგინალური მოაზროვნის, ბატონი **რეზო ადამიას** სრულიად ახლებურ მიდგომას, სხვაგვარ ძალისხმევას შოთა რუსთაველის პორტრეტისა თუ პოემის პერსონაჟთა სურათების შექმნისათვის. ეს პასუხისმგებლობა თავად ბატონ რეზოს ერთ ვრცელ ნარკვევში ამგვარად აქვს გამოხატული: „მხოლოდ შოთა რუსთაველის გენიის დონის და ნიჭის მხატვარი თუ კომპოზიტორი შეძლებდა ყოვლად საოცრება-პოემის მხატვრულ-მუსიკალურ დასურათებას...“

ცნობილი მხატვრის ამ ახალ ძალისხმევას, პირველ რიგში, ამგვარი თვალით უნდა შევხედოთ: იგი მიზნად ისახავს აღნიშნული „აღმოსავლური“ სტერეოტიპის დარღვევას და გენიალური შემოქმედის „ქართული“ სახის შექმნას.

მაგრამ, ვფიქრობთ, აუცილებელია მნახველმა იცოდეს, რომ ეს ახალი „ქართული“ სახე კონცეპტუალურია და არა რეალისტური. მეტიც, ეს არის ერთგვარი ფრესკული სახე, წმინდანის გამოსახულება, დაახლოებით ისეთი, ჩემეული ინტერპრეტაციით, როგორიც იქნებოდა რუსთაველი არა პოემის წერის ასაკში, არამედ მიღებულ ტანჯვათა შემდგომ, ამ სოფლიდან გასვლის ჟამს. თუ მკრეხელობად არ ჩამომერთმევა: რომ წარმოვიდგინოთ აღსრულებული გენიალური შემოქმედის სახეზე დაფენილ ტილოზე სასწაულად აღბეჭდილი გამოსახულება...

სწორედ ამას მეუბნება პირადად მე ამ პორტრეტ[ებ]ის გრაფიკული გამოუკვეთლობა: თითქოს სახე სამყაროს ქმნადობიდან „ამოდის“, თითქოს თვალებს არა აქვთ ზუსტი კონტური და გამომსახველობა, თითქოს პოეტის მზერა პიროვნების კი არა, სამყაროს სიღრმიდან მოდის... სრულიად ბუნებრივია, თუ ამ კომპოზიციაში ილანდება გარკვეული თეოლოგიური თუ კოსმოლოგიური მინიშნებანი...



ერთი სიტყვით, „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული კულტურის შემფასებელთა და დამფასებელთ მნიშვნელოვან სიახლესთან უწევთ შეხვედრა და, ჩემი მხრივ, მინდა გამარჯვება და აღიარება ვუსურვო ამ ახალ სიტყვას!..

**ავთანდილ არაბული**

# ისრაელმა ღაზის სექტორი არ უნდა მართოს!



**კარგი არაფერი ისმის ახლო-აღმოსავლეთიდან. აი, უკვე ნახევარი წელიწადია, რაც პალესტინასა და ისრაელს შორის სამხედრო დაპირისპირება დაიწყო, და კონფლიქტის დასასრულს პირი არ უჩანს. ლიბანის სამხრეთში გამაგრებული ჰეზბოლა, ცალკე, თითქმის ყოველდღე, უტევს ისრაელს რაკეტებით. ისრაელის სამხედრო მანქანა, უკვე, ღაზის სექტორის თითქმის 60 პროცენტს აკონტროლებს. დაღუპულთა რიცხვი ყოველდღე იზრდება, და 30 ათასს გადააჭარბა ორივე მხარეს.**

ჰამასის განადგურების მიზნით, ისრაელი ღაზის-სექტორის სამხრეთში შესვლას გეგმავს, რაც, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, დიდ სისხლისღვრას გამოიწვევს. ამის გამო, ისრაელს დასავლეთთან ურთიერთობა ძალიან დაეძაბა. ისრაელი თანახმაა, ცეცხლი შეწყვეტოს, თუ ჰამასი ისრაელის ყველა მძევალს გაათავისუფლებს, მაგრამ ჰამასი უარზეა. მოლაპარაკებები ამ თემაზე ტარდება ხოლმე, მაგრამ უშედეგოდ.

ახალი ინციდენტის გამო, ახლო აღმოსავლეთში, ომის ესკალაციაა მოსალოდნელი: რამდენიმე დღის წინ, ისრაელის ავიაციამ იერიში დამასკოში არსებულ ორ შენობაზე მიიტანა, რომელიც სირიაში ირანის საელჩოს საკუთრებაა. დაბომბვის დროს, შენობებში, ირანის სამხედრო მაღალჩინოსნები და ჰეზბოლას წევრები იმყოფებოდნენ. ირანის განცხადებით, ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის შვიდი წევრი, მათ შორის, ორი გენერალი დაიღუპა. ერთ-ერთი იყო მოჰამად რეზა-ზაჰედი, ირანის მთავარი საკონტაქტო პერსონა ჰამასსა და ჰეზბოლასთან. გენერალი უაღრესად გავლენიანი ფიგურა გახლდათ, რომლის სიკვდილი, შეიძლება, 2020 წელს დაღუპული სპარსელი გენერლის, კასემ სულეიმანის სიკვდილს შევადაროთ.

ინციდენტის გამო, ირანის ხელმძღვანელობა ისრაელსა და ამერიკას დაემუქრა. ირანის პრეზიდენტის, ებრაჰიმ რაისის თქმით, ირანი უპასუხოდ არ დატოვებს ამ ლაჩრულ თავდასხმას. ახლო აღმოსავლეთის ბევრმა ქვეყანამ მკაცრად დაგმო ეს ინციდენტი, რადგან შენობები, რომელზეც შეტევა განხორციელდა, დიპლომატიური იმუნიტეტის ძალით იყო დაცული. ისრაელის თქმით კი, შენობებში ბოევიკების საწვრთნელი ცენტრი იყო განთავსებული. ისე იყო თუ ასე, მომხდარმა, შეიძლება, კიდევ უფრო დაძაბოს მდგომარეობა. კონფლიქტის ახალი კერის გაჩენა კი, არც დასავლეთს აძლევს ხელს და არც სპარსეთის ყურის ქვეყნებს. დაძაბულობით მხოლოდ ირანი, შეიძლება, იყოს დაინტერესებული.

ამიტომაა დიპლომატიურ არენაზე ამერიკა და სპარსეთის ყურის ქვეყნები ასე გააქტიურებული. სპარსეთის ყურის ქვეყნებსა და ეგვიპტეს ჰამასისა და ჰეზბოლას გაგონებაც კი აღარ სურთ, მაგრამ ამ დაჯგუფებებთან ხუმრობა არ შეიძლება: ისინი სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. ამიტომ, ეს ქვეყნები მათ, უნდათ თუ არ უნდათ, ანგარიშს უწევენ.

რეგიონში მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის ამერიკა ისრაელთან შეუთანხმებლად აქტიურობს. ამერიკას მხარს საუდის არაბეთი, ეგვიპტე და გაერთიანებული საემიროები უჭერენ. ყველა ეს ქვეყანა ისრაელს მოუწოდებს, არ შევიდეს ღაზას სამხრეთში და ოპტიმიზმის ოდნავ მაინც გასაღვივებლად, კონფლიქტის გადასაწყვეტი რაიმე გეგმა წარმოადგინოს. ისრაელის თავდაცვის მინისტრის იოავ-გალანტის თქმით, მათ ღაზის სამშვიდობო გეგმა აქვთ, რომლის წარდგენას აპირებენ სპარსეთის ყურის ქვეყნებისთვის. მინისტრი ამბობს, რომ ისრაელი ვერ დაუშვებს ღაზაში ძველი ხელისუფლების დარჩენას, რადგან ის ჰამასთან ასოცირდება. რადგან დასავლეთსა და სპარსეთის ყურის ქვეყნებს არ სურთ, რომ ისრაელმა ღაზა მართოს, ვთავაზობთ ალტერნატივას, განაცხადა გალანტმა.

ისრაელის გეგმის მიხდვით, ღაზას გასაკონტროლებლად, უნდა შეიქმნას სპარსეთის ყურის ქვეყნების სამშვიდობო ძალები, რომლის ფუნქცია ღაზაში მშვიდობის დამყარება, ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდება და მშვიდობიანი მართვის სოლიდური სისტემის შექმნა იქნება. ქვეყნები, რომელიც სამშვიდობო ძალებს განალაგებს ღაზაში, პასუხს აგებს სექტორში უსაფრთხოებაზე. გეგმას, თითქოს, არაფერი აქვს დასაწუნი, მაგრამ, სავარაუდოდ, მას სპარსეთის ყურის ქვეყნები არ დათანხმდებიან. მართალია, ისინი კონფლიქტით გადაიღალნენ და პალესტინის პრობლემის გაგონება აღარ სურთ, მაინც შიშობენ, რომ გეგმის განხორციელების შემთხვევაში, პალესტინა ირანის მხარეს გადავა, რაც მათთვის მიუღებელია. სპარსეთის ყურის ქვეყნებს, კონფლიქტის გადაწყვეტა, მათი ჩარევის გარეშე უნდათ. მოკლედ, როგორც წინათ, დღესაც, კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში გორდიას კვანძს ჰგავს, რომელსაც, ჯერჯერობით, ვერავინ ვერ ხსნის.

# 13 წლამდე ბავშვებს რეგისტრაცია აუკრძალეს!



**ფლორიდის შტატის გუბერნატორმა, რონ-დესანტისმა, ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომელიც 13-წლამდე მოზარდს სოც-მედიაში რეგისტრაციას უკრძალავს. რეგისტრაციის უფლება 13-დან 16-წლამდე ასაკის ბავშვებს ექნებათ, ოღონდ, მშობლების თანხმობით. ამგვარად, ფლორიდა ამერიკის პირველი შტატია, რომელიც ბავშვებს სოც-მედიის გამოყენებას უზღუდავს. დესანტისის აზრით, კანონი მშობლებს არსებულ რთულ გარემოში ბავშვების აღზრდაში დაეხმარება.**

კანონმა, რომელმაც მშობელთა უმრავლესობის მოწონება დაიმსახურა, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ამერიკაშიც და მის ფარგლებს გარეთაც. კანონს კრიტიკოსებიც გამოუჩნდნენ: არასამთავრობო ორგანიზაციები და სოც-მედიის კომპანიები. ამერიკის მოსახლეობის 80 და ინგლისის ზინადართა 70 პროცენტი მხარს უჭერს ასეთი კანონის მიღებას. მაშინ, არასამთავრობოებსა და სოც-მედიის კომპანიებს რას უშავებს? სიტყვის თავისუფლებას ზღუდავსო, ასე ამბობენ, მაგრამ მოზარდის გონიერება და სულიერება რომ მყიფეა და მასზე ნეგატიური ზემოქმედება ადვილი, ამას ლიბერალები არად დაგიდევენ. დასამალი აღარაა, რომ უკონტროლოდ დატოვებული სოც-მედია ბავშვებში არაერთ უარყოფით თვისებას ზრდის და შეუსაბამო ფიქრებს იწვევს, რაზეც მსოფლიო მასშტაბის მრავალი კვლევაა ჩატარებული: ბულინგი, უძილობა ან მოუსვენარი ძილი, ყურადღების გაფანტულობა, საგანზე კონცენტრაციის უუნარობა და სხვა მრავალი ხილული თუ უხილავი რისკი.

ბოლო ათწლეულში, მოზარდთა მიერ სოც-მედიის აქტიური მოხმარების შედეგად, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებიც გამწვავდა და თვითმკვლელობის შემთხვევებმაც იმატა. ახალი კანონის კრიტიკოსებს შორის, სოც-მედიის ფირმების გარდა, მარკეტინგისა და სხვა მსგავსი კომპანიებიც არის, რომელთაც, უპირველეს ყოვლისა, შემოსავლის პრობლემა აწუხებს: კვლევის მიხედვით, მოზარდები უფრო აქტიურად იყენებენ სოც-მედიას, ვიდრე ზრდასრული ადამიანები, მითუმეტეს, რომ ისინი ბავშვებზე მარკეტინგული ხრიკებით ახერხებენ გავლენის მოხდენას, თუმცა, სრულიად ცხადია ისიც, რომ კანონი დიდად ვერ შეზღუდავს ფლორიდის ბავშვების სოც-მედიაზე წვდომას. არსებობს პროგრამები, რომელთა გამოყენებით, ხელმისაწვდომია დაბლოკვის გვერდის ავლა. თანამედროვე ბავშვები კი, დარგში იმდენად არიან გათვითცნობიერებულნი, რომ ყოველგვარ დაბლოკვას ადვილად სძლევენ. **ზოგი სპეციალისტის აზრით, აკრძალვა კონტრპროდუქტიულიც კია, თუმცა, გამოსავალიც არსებობს: ბავშვებმა, მშობლებთან ერთად, უნდა გაიარონ სოც-მედიის უსაფრთხო გამოყენების გაკვეთილები და ფსიქოლოგიური ვარჯიშები, რაც ბავშვებს ნეგატივის დაძლევაში დაეხმარება. რა ვიცი, ვინძლო, მართლა ასეა!**



**ნუგზარ. ბ. რუხაძე**

POSTV

## რუსეთს ბენზინით ბელარუსი და ყაზახეთი მოამარაგებენ

**რუსეთი ბენზინს ყაზახეთს სთხოვს, თუ უკრაინელების შეტევების გამო საწვავის დეფიციტი შეექმნება,** – ამის შესახებ ინფორმაციას „როიტერი“ ავრცელებს.

როგორც სააგენტო წერს, სამმა ანონიმურმა წყარომ დაადასტურა, რომ რუსეთმა მოსთხოვა ყაზახეთს, მზად იყოს რუსეთისათვის 100 ათასი ტონა ბენზინის მიწოდებისთვის. ერთ-ერთი წყარო აცხადებს, რომ რუსეთის მიერ ყაზახეთის ბენზინის მარაგის გამოყენების შესახებ შეთანხმება უკვე შედგა. ამასთან, სააგენტო „როიტერმა“ ამ საკითხზე კომენტარისთვის მიმართა როგორც რუსეთის, ისე ყაზახეთის ენერგეტიკის სამინისტროს, თუმცა პასუხი ვერ მიიღო. გარდა ამისა, როგორც სააგენტო „როიტერი“ წერს, ბელარუსი უკვე დათანხმდა, დაეხმაროს რუსეთს ბენზინის მიწოდებაში.

ცნობისთვის, წლის დასაწყისიდან უკრაინის მხრიდან რუსეთის ნავთობგადამმუშავებელ ქარხნებსა და ნავთობის ბაზებზე დრონებით თავდასხმები გახშირდა. შედეგად, ბენზინის წარმოება შემცირდა და საწვავის ფასი გაიზარდა. პირველი მარტიდან რუსეთმა ბენზინის ექსპორტი ექვსი თვით შეწყვიტა.

## აზერბაიჯანი და სომხეთი ერთმანეთს ცეცხლის გახსნაში ადანაშაულებენ



**აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 8 აპრილს, 23:35 საათიდან 23:45 საათამდე სომხეთის შეიარაღებული ძალების დანაყოფმა გორისის რაიონიდან სხვადასხვა ტიპის იარაღით ცეცხლი გაუხსნა აზერბაიჯანის არმიის პოზიციებს ლაჩინის რაიონში. აზერბაიჯანის თავდაცვის უწყების ინფორმაციით, აზერბაიჯანის არმიის ქვედანაყოფებმა ამ მიმართულებით ადეკვატური საპასუხო ზომები მიიღეს.**

სომხეთის თავდაცვის სამინისტრო აზერბაიჯანული პოზიციების მიმართულებით ცეცხლის გახსნას არ ადასტურებს. სომხეთის თავდაცვის უწყების განცხადების თანახმად, 8 აპრილს, 22:50 საათიდან 22:55 საათამდე აზერბაიჯანის არმიამ ცეცხლი გაუხსნა სომხურ სამხედრო დანაყოფებს სიუნიქის სოფლების მიმართულებით.

## ბრიტანეთი და საფრანგეთი ამერიკას უკრაინისთვის დახმარებას აიძულებენ...

**„პოლიტიკო“ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების, დევიდ ქემერონისა და სტეფან სეჟურნეს ერთობლივ განცხადებას აქვეყნებს.**

როგორც „პოლიტიკო“ წერს, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი აფრთხილებენ აშშ-ს, რომ „მსოფლიო თვალს ადევნებს“ უკრაინის დახმარების საკითხს. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, დევიდ ქემერონმა მოუწოდა აშშ-ს, მეტი სამხედრო დახმარება გამოუყოს უკრაინას. ქემერონის თქმით, ვლადიმერ პუტინი უკრაინაში თუ გაიმარჯვებს, „ჩვენ, ყველა დავმარცხდებით“.

**„უკრაინას მხარს თუ არ დავუჭერთ, ხარჯები გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე პუტინის მოგერიების ხარჯები. მსოფლიო გვიყურებს და დაგვსჯის, თუ ამას ვერ შევძლებთ“,** – აღნიშნულია დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივ განცხადებაში.

# მიხეილ სარჯველაძე ერგნეთში, ახლად გახსნილ ამბულატორიაში იმყოფებოდა



**ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი მიხეილ სარჯველაძე, ჯანმრთელობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, საოკუპაციო ხაზთან, ახლად გახსნილ სოფლის ამბულატორიაში იმყოფებოდა.**

უწყების ხელმძღვანელი საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებს გაეცნო, სამედიცინო პერსონალს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და ჯანმრთელობის მსოფლიო დღე მიულოცა.

მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების სრულად დაკმაყოფილება. ერგნეთის ამბულატორია, ადგილობრივ მოსახლეობას პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო მომსახურებას უწევს. სამედიცინო დაწესებულება კვალიფიციური პერსონალითაა დაკომპლექტებული.

სოფლის ამბულატორია ერგნეთის 300-მდე მცხოვრებს, იმუნიზაციას, კიბოს სკრინინგსა და სხვა სამედიცინო სერვისს სთავაზობს.

# 25-ათასიანი ლიმიტიდან ონკოლოგიური მედიკამენტები ცალკე გამოჰყვეს

**მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 25 ათას ლარიანი ლიმიტის კალკულაციიდან ცალკე იქნება გამოტანილი ონკოლოგიური მედიკამენტები, რომლეიც გათვალისწინებულია შესაბამისი სახელმწიფო პროგრამით,** – ამის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, მიხეილ სარჯველაძემ განაცხადა.

მისი თქმით, პრაქტიკულად გამოირიცხება იმის შესაძლებლობა, რომ რომელიმე პაციენტისთვის ლიმიტის გამო ხელმიუწვდომელი გახდეს სახელმწიფოს დაფინანსებული მკურნალობის სრული კურსი.

**„ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში დანიშვნის პრაქტიკულად პირველივე დღიდან დავიწყეთ ინტენსიური მუშაობა ონკოლოგიური პაციენტების პრობლემებზე. ეს იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი კობახიძის პრაქტიკულად პირველი დავალება, რომელიც მისგან მივიღე. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხი, რომელიც აწუხებდა ონკოლოგიური პაციენტების უმრავლესობას, ეს იყო დაწესებული 25 000-იანი ლიმიტი იმ დაფინანსებისა, რომელსაც ანაზღაურებს სახელმწიფო. ამ მუშაობის შედეგად, რომელიც მოიცავდა არაერთ შეხვედრას შესაბამის კლინიკებთან, ფარმაცევტულ სექტორთან, სპეციალისტებთან, პარლამენტთან, ასევე თავად ონკოლოგიურ პაციენტებთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, ბატონ ირაკლი კობახიძესთან შეთანხმებით მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 25 000-იანი ლიმიტის კალკულაციიდან ცალკე იქნება გამოტანილი ონკოლოგიური მედიკამენტები, რომლეიც გათვალისწინებულია შესაბამისი სახელმწიფო პროგრამით.**

**ამგვარად, პრაქტიკულად გამოირიცხება იმის შესაძლებლობა, რომ რომელიმე პაციენტისთვის ლიმიტის გამო ხელმიუწვდომელი გახდეს სახელმწიფოს დაფინანსებული მკურნალობის სრული კურსი. ეს ცვლილება შეეხება იმ პაციენტებსაც, რომლებსაც უკვე ამ დროისთვის შეიძლება ჰქონდეთ ამოწურული აღნიშნული 25 ათასიანი ლიმიტი. დაწყებულია მომზადება ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შესატანად, რაც უახლოეს დღეებში განხორციელდება,** – აღნიშნა მიხეილ სარჯველაძემ.

# უკრაინას NATO-ში მიიღებენ, თუ ტერიტორიებს დათმობს!

## სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!



**დასავლეთში უკრაინის ომის დასრულების სავარაუდო სცენარებს განიხილავენ? გამოცემა La Repubblica-ს ინფორმაციით, უკრაინას NATO-ში მიიღებენ იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორიებს რუსეთს დაუთმობს. გამოცემა სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ უკრაინის NATO-ში შესვლის გარანტია შეიძლება იყოს ქვეყნის ფიქსირებული საზღვრები, სადაც რუსეთის ფედერაცია ყირიმსა და 2014 წლიდან დაპყრობილ ტერიტორიებზე კონტროლს შეინარჩუნებს. ვარაუდობენ, რომ თუ ჯო ბაიდენი აშშ-ის არჩევნებში დამარცხდება, შესაძლოა, ასეთი გარიგება დღის წესრიგში დადგეს. წყარო ამბობს, რომ ტრამპის გამარჯვების ალბათობა დიდია, ამიტომ დასავლეთში უკრაინის ომის დასრულების ისეთ სცენარზე ფიქრობენ, რომელიც უკრაინისთვის კატასტროფული შედეგების მომტანი არ იქნება.**

**„უკრაინამ თავად უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ კომპრომისზე წავა რუსეთთან“,** – ამის შესახებ კი ნატოს გენერალურმა მდივანმა, **იენს სტოლტენბერგმა** „ბიბისისთან“ ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო მხარდაჭერა უკრაინისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რუსი სამხედროების ტერიტორიებიდან გასაძევებლად კიევს, შესაძლოა, დათმობებზე წასვლა მოუწიოს.

როგორც სტოლტენბერგი ამბობს, ის არ მოუწოდებს უკრაინას დათმობებზე წასვლას ახლავე, თუმცა აღნიშნა, რომ მშვიდობა მაშინ იქნება მიღწეული, როცა უკრაინა გაიმარჯვებს.

ნატოს გენერალური მდივნის თქმით, არსებობს ისეთი ავტორიტარული ალიანსები, რომლებიც ერთმანეთს მხარს უჭერენ, რაშიც, რუსეთი, ჩინეთი, ირანი და ჩრდილოეთ კორეა იგულისხმა.

**„ჩინეთი მხარს უჭერს რუსეთის საომარ ეკონომიკას თავდაცვის ინდუსტრიისთვის ძირითადი ნაწილების მიწოდებით, რის სანაცვლოდაც მოსკოვი პეკინს თავის მომავალს აძლევს,** – ამბობს **სტოლტენბერგი.**

ყოფილი პრეზიდენტი ტრამპი კი უკრაინის ომთან დაკავშირებით ამბობს, რომ მას შეუძლია უკრაინაში ომის გადაწყვეტა სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმართვიდან 24 საათის განმავლობაში, თუმცა უარი თქვა დეტალების გამხელაზე.

**„თუ ეს არ მოგვარდება, მე მოვაგვარებ 24 საათში ზელენსკისთან და პუტინთან და ძალიან იოლი მოლაპარაკებები შედგება, მაგრამ არ მინდა დეტალებზე საუბარი, რადგან მაშინ მე ამას ვერ გამოვიყენებ. მე მოვაგვარებ ამას ერთ დღეში“,** – აღნიშნა აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა.

ტრამპს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში მაღალი რეიტინგი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ბრალი აქვს წაყენებული 90-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმეზე. ამიტომ არ არის გამორიცხული ის ამერიკის პრეზიდენტი მეორე ვადით გახდეს.

სამხედრო ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** For.ge-სთან ამბობს, რომ ეს იგივე სცენარია, როგორზეც, მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში იყო საუბარი, რომ ნატოში მიგვიღებდნენ, თუკი ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე უარს ვიტყოდით. მაისაია მიიჩნევს, რომ თუკი ტრამპმა მართლაც გაიმარჯვა და ის ხელისუფლებაში დაბრუნდა, მაშინ მოვლენები იმაზე უარესად განვითარდება, ვიდრე ეს მოსალოდნელია.

**„სამწუხაროდ, როგორც ჩანს, შიდა საუბრებში მიდის იმავე სცენარზე მუშაობა, რაც საქართველოსთან დაკავშირებით ხდებოდა. თუმცა მაინც არ მგონია, რომ ეს ნატოს ოფიციალურ დონეზე ხდეობდეს და ამას ჰქონდეს რეალური სახე. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ყოფილი მაღალჩინოსნების შეთავაზებებია, რადგან ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში, უკრაინის ომთან დაკავშირებით, მისი პოზიცია ყველამ იცის. ამიტომ ეძებენ რაღაცა ალტერნატივას, რომ ორივე მხარისთვის მისაღები იყოს. თუმცა თუკი ტრამპი ხელისუფლებაში კვლავ დაბრუნდება, რისი ალბათობაც დიდია, მაშინ სიტუაცია იმაზე რთულად იქნება, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია. აქ საუბარია იმაზე, რომ პრობლემები თავად ნატოს არსებობას შეექმნება.**

**ჩვენ ვიცით ტრამპის წინასაარჩევნო პოპულისტური განცხადებები და საუბარი იმაზე, რომ ამერიკის ნატოდან გამოსვლის საკითხს დააყენებს. მისი თქმით, ნატო უკვე ამერიკისთვის სერიოზული ტვირთის მატარებელია, ამიტომ ის ამ გაერთიანებაში ყოფნის აზრს ვეღარ ხედავს. უკრაინის ომთან დაკავშირებით ხომ საერთოდ ამბობს 24 საათში დავასრულებო. როგორ და რანაირად, ეს უკვე სხვა საკითხია, მაგრამ მისი შეხედულებები უკრაინისთვის შესაძლოა ძალიან მძიმე პროცესების მომტანი იყოს. ამიტომ რთულია წინასწარ საუბარი იმაზე, რეალურად რა სცენარით შესაძლოა მოვლენები განვითარდეს“...**

ეროვნული უსაფრთხოების საკითხების სპეციალისტი და უშიშროების პოლკოვნიკი **ბესიკ ალადაშვილი** ამბობს, რომ თუ ტრამპს არჩევნებში გამარჯვების მეტი შანსი აქვს, მაშინ უკრაინას მის ინაუგურაციამდე ერთი წელი მაინც დრო ექნება, რათა ფრონტის ხაზზე რაღაცა გარდატეხა შეიტანოს.

**„უკრაინასთან დაკავშირებით ნამდვილად რთულად არის საქმე. ეს სცენარი რომც განიხილებოდეს დასავლეთში და ნატოში, ამაზე ორივე მხარის დათანხმება საჭირო. ჯერ ერთი, რუსეთი ამას არ დათანხმდება და ბევრად მეტი ტერიტორიები აქვს ახლა დაკავებული, ვიდრე 2014 წელს ჰქონდა. ამიტომ ამხელა რესურსის გაღება, ამდენი კაცის დაღუპვა და ამ შარში თავის გაყოფა, პუტინს ბევრად მეტი უღირს. ის, რომ კრემლი ამაზე თანახმა იქნება, ტყუილია. ავიღოთ ასევე უკრაინის პოზიცია, რა უნდა მოხდეს, რომ ზელენსკი ამაზე წავიდეს? – მაშინ ქვეყანაში უნდა დაიწყოს სამოქალაქო დაპირისპირება, გადააგდონ ზელენსკი დ მისი მთავრობა, მოვიდეს ვიღაც პრორუსული ხელისუფლება, რომელიც ამაზე დასავლეთს გაჰყვება. სხვაგვარად წარმოუდგენელია ზელენსკიმ ეს ამხელა ომი რამით გაამართლოს. მაშინ თავად მას დაუდგება საფრთხე და მისი სიცოცხლე დაიდება სასწორზე.**

**არც რუსეთი და არც უკრაინა ყირიმზე უარს არასდროს იტყვიან. ახლა რუსეთი ცდილობს, რაც შეიძლება უკრაინის მეტი ტერიტორია დაიკავოს, რათა სავაჭრო მეტი ჰქონდეს. რაც უფრო მეტი ტერიტორიის ოკუპაციას შეძლებს, უკრაინას მით მეტს დაათმობინებს. ამიტომ, ამ ეტაპზე, გამოვრიცხავ რაიმე მოლაპარაკებაზე დაჯდომას. თუმცა უკრაინა მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდება, თუკი ევროპაშიც და ამერიკაშიც არჩევნების შემდეგ ხელისუფლებების ცვლილება მოხდება. მას ახლა აქვს სადღაც ერთი წელი კიდევ დრო იმისთვის, რაც შეიძლება მაქსიმალური სამხედრო დახმარება მიიღოს და ომში რაღაც გარდატეხა შეიტანოს“,** – ამბობს **ალადაშვილი.**

მისივე თქმით, უკრაინის ომის მიმართ დასავლეთში დამოკიდებულება ძალიან სწრაფად იცვლება. საფრანგეთში თუ ოპოზიციამ გამარჯვება შეძლო, მაშინ უკრაინა მხარდაჭერას აქედანაც დაკარგავს. იტალიის დამოკიდებულება ისედაც ცნობილია და რუსეთს აქ ძალიან ბევრი მოკავშირე ჰყავს. გერმანიის დამოკიდებულებაც ცნობილია და ქვეყნის შიგნით მოსახლეობის განწყობა ომის მიმართ უარყოფითია. ამიტომ პუტინი ფსონს, როგორც დასავლეთის გამძლეობაზე, ასევე ამერიკის არჩევნებზე დებს.

**ლიკა ბერიკაშვილი**

◎ მკითხველი გვირჩევს

# გინდა იყო ჯანმრთელი და ჭკვიანი? — ირბინე!

## დღევანდელ გამარჯვებას ფეხბურთში ახალი გამარჯვებები რომ მოჰყვეს

**ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე ფეხბურთში და მომავალში სხვა შეხვედრებზეც თუ 26 მარტის ფეხბურთზე უფრო მაღალი დონის ფეხბურთი არ ითამაშა საქართველოს ნაკრებმა, 26 მარტის მატჩი ერთ-ერთ წარმატებულ შეხვედრად ჩაითვლება და იგი გაფერმკრთალდება.**

იმისთვის რომ ეს არ მოხდეს, ფეხბურთელებს მხარში უნდა დაუდგეს მთელი ქვეყანა.

პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები ფიზიკური მომზადებით ძალიან ჩამორჩებიან ევროპელ ფეხბურთელებს (საქართველოს ნაკრები საზღვარგარეთ მოთამაშე ჩვენი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული).

მაღალი ფიზიკურ-ათლეტური მონაცემების მქონე და სწრაფი ფეხბურთელების აღზრდა იოლი საქმე არ არის და არც იქნება, მაგრამ ეს პრობლემა სისტემურად უნდა გადაიჭრას.

საქართველოს სკოლებში უნდა აღდგეს ფიზიკური კულტურა მძლეოსნობის მიმართულებით. სკოლის სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებისთვის უნდა შემოვიღოთ ნორმატივები 100, 200, 400, 1500, 5000 მეტრ მანძილზე სირბილში, ნორმატივები სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომებში, ტყორცნებში.

მოსწავლეთა მიღწევები მძლეოსნობის მიმართულებით უნდა ფასდებოდეს მკაცრად, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე. გამოცდებს უნდა იბარებდეს პედაგოგთა ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა გაწევრიანება სხვადასხვა სექციებში არ უნდა ათავისუფლებდეს მათ მძლეოსნობაში ნორმატივების ჩაბარებისგან.

მძლეოსნობის შემოღებას სკოლებში გაგებით შეხვდებიან ის მშობლები, რომლებიც უჩივიან თავიანთი შვილების ჭარბ წონას. გაგებით შეხვდებიან ექიმებიც, რომლებიც შეშფოთებულნი არიან ზოგიერთი დაავადების „გაახალგაზრდავებით“.

მიღწევები მძლეოსნობაში დაეხმარება მოსწავლეებს სხვა საგნების ადვილად ათვისებაში, რადგან ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია.

ჩვენზე, იმ ასაკოვან მოქალაქეებზე, ვისაც ეს ქვეყანა უშენებია, დამთრგუნველად მოქმედებს აზრი იმის შესახებ, რომ მოსწავლეთა გარკვეულ რაოდენობას წაკითხულიდან შინაარსი ვერ გამოაქვს.

როგორ ეგუებიან ასეთ მდგომარეობას მოსწავლეთა მშობლები ან მრავალრიცხოვანი პედაგოგები?!

განათლების სამინისტრომ, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ოპერატიულად უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები სკოლებში ფიზიკური კულტურის აღორძინებისთვის მძლეოსნობის მიმართულებით.



ჟურნალისტებმა, მოქალაქეებმა კვლავ უნდა გაუწიონ პროპაგანდა ჩვენს ქვეყანაში ერთ დროს გავრცელებულ შეგონებას: „გინდა იყო ჯანმრთელი? – ირბინე! გინდა იყო ძლიერი? – ირბინე! გინდა იყო ლამაზი? (დიახ ლამაზი) – ირბინე! ჩვენს ეპოქაში ამას უნდა დაემატოს მეოთხე შეგონება: გინდა იყო ჭკვიანი? – ირბინე.

აღზრდაში ამ ღონისძიებების გატარებით ძალიან მოკლე დროში მივიღებთ მეტად მნიშვნელოვან გამარჯვებებს არა მხოლოდ სპორტში, არამედ ქვეყნის აღმშენებლობაში.

**ნუგზარ კობახიძე,**
**ინჟინერ-ჰიდრომშენებელი.**



◎ ფორუმის წინ

# არსებითი საკითხი

**გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში ევრო 2024-ის მონაწილე ნაკრებების მთავარ მწვრთნელთა სემინარი გაიმართა, სადაც იმსჯელეს განაცხადის 23-დან 26 წევრამდე გაზრდაზე.**

ჯერჯერობით, გადაწყვეტილება არ მიუღია უეფას, რომელმაც ყველა მწვრთნელის მოსაზრება მოისმინა. მათ შორის იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ვილი სანიოლიც,** რომელიც სემინარს დაესწრო.

მწვრთნელთა უმეტესობა 26-კაციან განაცხადს უჭერს მხარს, მაგალითად, იტალიის ნაკრების თავკაცი ლუჩანო სპალეტი, რომელმაც პოზიცია იტალიურ მედიასთან ინტერვიუშიც საჯაროდ დააფიქსირა. სამაგიეროდ, 26-კაციანი განაცხადის წინააღმდეგი არიან და 23-კაციანი განაცხადის დატოვების მომხრე არიან დიდიე დეშამი (საფრანგეთის ნაკრები) და სილვინიო (ალბანეთის ნაკრები).

საკითხი განსახილველად უეფას აღმასრულებელ კომიტეტს გადაეცემა, რომელიც ამაზე 22 აპრილს იმსჯელებს.

ამჟამინდელი რეგლამენტით ევრო 2024-ზე 23-კაციანი განაცხადი უნდა გააკეთოს თითოეულმა გუნდმა. ევრო 2020-ზე კოვიდპანდემიის გამო უეფამ გამონაკლისი დაუშვა და მაშინ განაცხადი 26-მდე გაზარდა. 2022 წლის მუნდიალზეც ფიფამ ასევე 26-კაციანი განაცხადების უფლება მისცა მონაწილეებს. ევრო 2024-სთვის განაცხადების დასახელების საბოლოო ვადა 7 ივნისია.

შეგახსენებთ, რომ ევრო 2024 გერმანიაში 14 ივნისიდან 14 ივლისის ჩათვლით გაიმართება, სადაც დებიუტანტის რანგში საქართველოს ეროვნული ნაკრებიც ითამაშებს, კერძოდ, F ჯგუფში პორტუგალიის, თურქეთისა და ჩეხეთის ნაკრებების წინააღმდეგ.

# ორიოდე სიტყვით




### ჭიდაობა

**უკვე** გაუწყეთ, რომ ბაქოში გამართულ სალიცენზიო ტურნირში პარიზის წლევანდელი ოლიმპიადის საგზური საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების 30 წლის წევრმა **რობერტ კობლიაშვილმა** (97 კგ) დაიმსახურა.

კლასიკოსთა შემდეგ აზერბაიჯანულ ხალიჩაზე თავისუფლებმა იბრძოლეს ფრანგული ფორუმის ლიცენზიისათვის და ჯვაროსნებს აქაც ერგოთ 1 საგზური – მისი მფლობელია 25 წლის **გოდერძი ძებისაშვილი** (65 კგ). მანამდე მსგავსი პატივი ევროპის ორგზის ჩემპიონს **გივი მაჭარაშვილსა** და წინა თამაშების ფინალისტს **გენო პეტრიაშვილს** ხვდათ წილად.

### ბატუტზე ხტომა

**ჩვენი** მკითხველი უკვე ინფორმირებულია ახალგაზრდა ქართველ ბატუტზე მხტომელთა პორტუგალიურ ტრიუმფზე. დავძენთ, რომ გიმარაეშში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე უფროსმა ჯვაროსნებმაც ღირსეულად იასპარეზეს: **ვერცხლი** – ლუბა გოლოვინა, მარიამ რაგიმოვა, ანანო აფაქიძე (გუნდური ტურნირი). **ბრინჯაო** – ანანო აფაქიძე, მარიამ რაგიმოვა (სინქრონული ხტომები).

### რაგბი

**პარმა (იტალია).** 6 ერის 18-წლამდელთა ფესტივალი. მესამე მატჩი. ინგლისი – საქართველო 26:19. უმცროსმა ბორჯღალოსნებმა საბედისწერო ლელო ბოლო წუთზე გაუშვეს. სულ **ზურაბ ამონაშვილის** გუნდმა ერთი შეხვედრა მოიგო და ორი წააგო. რაგბი ევროპის სადისციპლინო კომიტეტმა 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა აკაკი ტაბუცაძე.

### ძალოსნობა

**ტაილანდი**. მსოფლიო თასი. პარიზის ოლიმპიადის სავალდებულო სალიცენზიო ჩასათვლელი ტურნირი. **ირაკლი ჩხეიძე (102 კგ)** – ატაცი – 170 კგ (მე-16 ადგილი), აკვრა – 211 კგ (მე-7 ადგილი), – ორჭიდი – 381 კგ (მე-11 ადგილი). ქართველმა შტანგისტმა წარმატებით შეასრულა პროგრამა-მინიმუმი.




◎ აშკარა, დაუჯერებელი

# სასწაულის მეორდება

**ქართული კალათბურთის ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე კაკაურიძე-აბაშიძე-ალთაბაევის ტრიოს მიერ ლატვიის უძლიერესი ნაკრების დამარცხების ზღაპრული ფაქტი, მაგრამ არის კიდევ ერთი თარიღი, რომელიც ასევე ფანტასტიკურად გამოიყურება.**

საუბარია 1996 წლის 17 სექტემბერს თბილისის სპორტის სასახლეში განვითარებულ სასწაულებრივ მოვლენებზე, სადაც ევროთასის გათამაშების დებიუტანტი ვითა ტურნირის ჯგუფური რაუნდის სასტარტო მატჩში უნგრულ კიორმენდს მასპინძლობდა და საფინალო სასტვენამდე 1 წუთითა და 36 წამით ადრე შეხვედრას 11 ქულით აგებდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა – 72:71.

ჩვენი გუნდის შემადგენლობა: დადიანი, ტურაშვილი, თორთლაძე, ორმოცაძე, კოკოლიშვილი, შენგელია, ბერუაშვილი, აგრეთვე ის ხუთეული, რომელმაც სტუმრებს გადამწყვეტი ჩხვლეტა მიაყენა – 14:2. უსტიაშვილი, ჩხეიძე, ქარაზაკი, ნაცვლიშვილი და სანაძე. აღსანიშნავია, რომ ბრძოლის გმირმა სანაძემ დროის დასკვნით მონაკვეთში 3 სამქულიანი ჩააგდო, ოქროს ტყორცნა კი ცაციათი ქარაზაკმა შეასრულა.

რაც შეეხება დანარჩენ მეტოქეებს, ესენი იყვნენ მომავალი ფინალისტი იტალიური რიელო ბასკეტ ვერონა (მილანის წინამორბედი), ინგლისური ლონდონ თაუერზი, ჯერაც იუგოსლავური ბუდუჩნოსტ პოდგორიცა (ყოფილი ტიტოგრადი) და თურქული პტტ ანკარა გენჩლიკი, რომელსაც იქაური ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი ატამანი წვრთნიდა.

დარჩენილი შეხვედრებიდან მეორეც მოვიგეთ შინ ბუდუჩნოსტთან, სხვები კი წავაგეთ, თუმცა რეკორდი მაინც დავამყარეთ დედაქალაქის მთავარ დარბაზში მაყურებელთა დასწრების რაოდენობით კონკრეტულად დასახელებულ ტურნირში იმ წელს.

კლუბის უცვლელმა პრეზიდენტმა **თემურ დათიკაშვილმა** ისიც შეგვახსენა, რომ 1994 და 1995 წლების სეზონებში ვითას დებიუტი ჰქონდა ჩემპიონთა თასზეც რიგის ბროცენისთან და კაუნასის ჟალგირისთან, სადაც ჯერაც ბრწყინავდა კურტინაიტისი. მოკლედ, ტკბილად მოსაგონარს რა გამოგვილევს...



# თვითმფრინავით მესტიიდან თელავში!

## სახელმწიფოს უნდა, მეტი შიდა ფრენა დააფინანსოს

**საქართველოს მთავრობა ეძებს ავიაკომპანიას, რომელიც ქვეყნის შიგნით იფრენს და მზადაა, მას 23 მილიონ ლარზე მეტი გადაუხადოს.**

სახელმწიფო კომპანია აეროპორტების გაერთიანებამ, რომელიც ქვეყნის აეროპორტებს მართავს (თბილისის და ბათუმის გარდა), კომპანიის შესარჩევად ორი ტენდერი უკვე გამოაცხადა. მთავრობა შემდეგი სამი წლის განმავლობაში (თუ ხელშეკრულების ვადა არ გახანგრძლივდა) 12 მიმართულებას დააფინანსებს.

თბილისი-ბათუმის რეისზე კომპანიას ხელშეკრულება ორი წლით გაუფორმდება, მან ფრენები სულ მცირე 40-ადგილიანი თვითმფრინავით უნდა შეასრულოს, სადაც თითო მგზავრს არანაკლებ 15 კილოგრამი ხელბარგის ატანის საშუალება ექნება. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სახელმწიფო 26 560 ადგილში დაახლოებით 114 დოლარს გადაიხდის.

**მეორე, 15 018 896-ლარიანი ტენდერი შემდეგ მიმართულებებზე გამოცხადდება:**

**თბილისი-ამბროლაური; თბილისი-ქუთაისი; თელავი-ბათუმი; თელავი-ქუთაისი; თელავი-ამბროლაური; თელავი-თბილისი; მესტია-ბათუმი; მესტია-ქუთაისი; მესტია-თბილისი; მესტია-ამბროლაური; მესტია-თელავი.**

თელავის აეროპორტის რეაბილიტაცია ჯერჯერობით არ დაწყებულა, ამიტომ შიდა რეისები წელსვე არ შესრულდება. საქართველოს აეროპორტების გაერთიანებაში გვითხრეს, რომ აეროპორტი თვითმფრინავების მიღებას 2025 წლიდან შეძლებს.

**„მას შემდეგ, რაც რეაბილიტაცია ჩაუტარდება თელავის აეროპორტს, ისიც ჩართული იქნება შიდა ფრენებში და დავაკავშირებთ თელავის აეროპორტს ყველა დანარჩენ აეროპორტთან. პროექტის მიზანია, კიდევ უფრო გაიზარდოს ქვეყნის შიგნით მობილობა, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და კიდევ უფრო საინტერესო გახდება მოგზაურებისთვის საქართველოში სტუმრობა“**,– ამბობს აეროპორტების გაერთიანების ხელმძღვანელი ირაკლი ქარქაშაძე.




ბათუმი-თბილისის რეისისგან განსხვავებით, აქ მთავრობა თითოეულ მიმართულებაზე განსხვავებულ საფასურს იხდის. ხელშეკრულების პერიოდში, შესასყიდი ადგილების რაოდენობა, რეისზე (ორივე მიმართულებით), ჯამში, დაახლოებით 47 760 ადგილი უნდა იყოს, რაც 15 მლნ ლარზე მეტი დაჯდება. ამ შემთხვევაში კომპანიასთან ერთწლიანი ხელშეკრულება გაფორმდება. რა ეღირება ბილეთის ფასი, ჯერ უცნობია. მთავრობის განკარგულების მიხედვით, კომპანიის შერჩევის შემდეგ ფასს აეროპორტების გაერთიანება დაადგენს.

დღეს საქართველოში ოთხი რეისი დაფრინავს: თბილისიდან ბათუმში, ნატახტრიდან მესტიასა და ამბროლაურში და მესტიიდან ქუთაისში.

ამ რეისებს კომპანია „აკ-ეარი“ ასრულებს, ხოლო „ჯორჯიან ვინგსში“ გვითხრეს, რომ მთავრობის სუბსიდირებით ბათუმი-თბილისის რეისზე წლის ბოლოს დაფრინავდნენ. ჯერჯერობით არცერთი ავიაკომპანია არ ამბობს, მიიღებს თუ არა ტენდერში მონაწილეობას. „ჯორჯიან ვინგსში“, რომელიც თბილისიდან ბათუმში დაფრინავს, გვითხრეს, რომ ჯერ სატენდერო პირობებს უნდა გაეცნონ. „აკ-ეარ ჯორჯიას“ ერთ-ერთი მფლობელი ამირან მანჯავიძე კი ამბობს, რომ მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება მაისის ბოლოს იწურება და მანამდე დრო აქვთ გადაწყვეტილების მისაღებად.

**„ვსწავლობთ ფინანსისტებთან ერთად. ვნახოთ, არ ვიცი, ჯერ ჩამოყალიბებული პოზიცია არ გვაქვს“**, – ამბობს **მანჯავიძე.**

საქმე ისაა, რომ „აკ-ეარ ჯორჯია“, რომელსაც პატარა თვითმფრინავები ჰყავს, წლებია ნატახტრიდან დაფრინავს, მთავრობამ კი ახალ ტენდერში ეს აეროპორტი არ შეიტანა. როგორც ავიაციის ექსპერტი იასე ზაუტაშვილი ამბობს, სხვა ქართული ავიაკომპანიები, რომლებიც საერთაშორისო რეისებს ასრულებენ, ძირითადად ბოინგებს ფლობენ. ასეთი ხომალდები კი 15 წუთის საფრენ გზაზე არარენტაბელურია, მით უმტეს, სუბსიდირების პირობებში.

**„როდესაც სახელმწიფო ტენდერს აცხადებს, შესწავლილი უნდა ჰქონდეს, ავიაკომპანიებს, რომლებსაც მონაწილეობის სურვილი ექნებათ, ავიაპარკში შესაბამისი ტიპის თვითმფრინავები აქვთ თუ არა. ასეთი ტიპის ავიაპარკი „აკ-ეარ ჯორჯიას“ გარდა არავის არ აქვს“**, – ამბობს ზაუტაშვილი. სახელმწიფო, ფრენების სუბსიდირებას უკვე წლებია ტურიზმის განვითარების მიზნით ხსნის. კომპანიებს ტენდერში მონაწილეობის მიღება 7 მაისამდე შეეძლებათ.

**მარიამ ვარადაშვილი**

## სოფელ შრომაში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდა



**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდა.**

სააღმზრდელო პროცესი გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ურუშაძემ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ, საკრებულოს წევრებთან ერთად მოინახულეს.

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის.

## გორანა-დავათი-ბულაჩაურის დამაკავშირებელი გზის სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

**თიანეთის მუნიციპალიტეტში გორანა-დავათი-ბულაჩაურის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მოასფალტდება გზის 4 კმ-ზე მეტი მონაკვეთი. ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების შემდეგ გზა მოინიშნება და ადგილზე განთავსდება საგზაო ნიშნები. ინფორმაციას მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ავრცელებს.**

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 1 800 000 ლარამდე შეადგენს. პროექტის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნენ მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული დავით ნოზაძე, თიანეთის მუნიციპალიტეტის მერი ლევან წიკლაური და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

## დეპარტამენტს ახალი ოთხფეხა მცველები შეემატა



**ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს ახალი ოთხფეხა მცველები შეემატნენ – 4 გერმანული ნაგაზის ჯიშის ძაღლი – რენე, ენცო, მია, ჰანსი და 4 ბელგიური ჯიშის ძაღლი – სტელლა, მო, დიჯი, ჰანნა.**

სამსახურის ინფორმაციით, კინოლოგიის სამსახური, რომელიც უწყებაში 2014 წელს ჩამოყალიბდა შექმნის დღიდან, აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ პარტნიორებთან, რათა სხვადასხვა ქვეყნის წარმატებული გამოცდილების გაზიარებით მოხდეს მაქსიმალურად ეფექტური კინოლოგ-ოფიცერთა გუნდის შექმნა. მიმდინარე წლის ზაფხულში კინოლოგიის ცენტრი 10 წლის იუბილეს აღნიშნავს. „საქართველოს მასშტაბით საბაჟო გამშვებ პუნქტებზე და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში უსაფრთხოების კონტროლს კინოლოგ-ოფიცრები და ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, ასევე მათი პრეკურსორებისა და კონტრაბანდული თამბაქოს ნაწარმის ძებნა-აღმოჩენაზე სპეციალურად გაწვრთნილი 31 ძაღლი ახორციელებს.

## 47 წლის ქართველი იტალიაში საკვების მოპარვისთვის დააკავეს




**იტალიაში, დააკავეს ქართველი კაცი, რომელიც სუპერმარკეტებიდან საკვებ პროდუქტებს იპარავდა.**

პოლიციის ინფორმაციით, საეჭვო ქმედება მაღაზიის დაცვამ შენიშნა. პოლიციის მისვლამდე კიდევ ორმა ეჭვმიტანილმა გაქცევა მოახერხა. 47 წლის ქართველი კაცი სამხედროებმა დააკავეს და ყაზარმაში გადაიყვანეს.

## ტრეფიკინგის ბრალდებით 1 პირი აიყვანეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს, გენერალური პროკურატურისა და სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ტრეფიკინგის ბრალდებით 1981 წელს დაბადებული ნ.გ. დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ნ.გ.-მ ადამიანებით ვაჭრობის სქემა შეიმუშავა და აღნიშნულის სისრულეში მოყვანისა და შრომითი ექსპლუატაციის გაწევის მიზნით, ოთხ პირს ფსიქოლოგიური ზეწოლითა და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით, მის კუთვნილ ფერმაში ამუშავებდა. ბრალდებული დაზარალებულებს ტერიტორიის დატოვებასა და მობილური ტელეფონით სარგებლობას უკრძალავდა. ნ.გ. ოთხივე მათგანს აიძულებდა შეესრულებინათ მისი ნებისმიერი მითითება, თუნდაც ეს არ ყოფილიყო დაკავშირებული მათ ფერმაში მუშაობასთან. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულები ბრალდებულის მოთხოვნების შესრულებაზე უარს იტყოდნენ, ან ის უკმაყოფილო დარჩებოდა შესრულებული სამუშაოთი, მათ ფიზიკურად უსწორდებოდა. ჩადენილი დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## „X2“-ის დირექტორი ქალზე ძალადობის ბრალდებით დააკავეს

**ქალზე ძალადობის ბრალდებით კომპანია „იქს 2“-ის დირექტორი, ვალერიან კირკიტაძე დააკავეს. 8 აპრილს მოქალაქე სოფია მეფარიშვილმა სოციალური ქსელებით ვიდეო გაავრცელა, სადაც ჩანდა, რომ „X2 დეველოპმენტის“ დირექტორი და მთავარი მეწილე ვალერიან კირკიტაძე მას ფიზიკურად უსწორდება.**

ვალერიან კირკიტაძეს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე (ძალადობა) მუხლით ჩადენილ დანაშაულს ედავება. ქალის მონაყოლის მიხედვით, ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც მეფარიშვილი დედასთან ერთად შარტავას ქუჩაზე, კომპანია „იქს ორის“ აშენებულ კორპუსში სიკვდილს სასწაულით გადაურჩა. როგორც მოქალაქე ამბობს, ლიფტი მაღალი სართულიდან მოწყდა, მათი გამოყვანა კი სამაშველო სამსახურებმა შეძლეს. სოფია მეფარიშვილი ამბობს, რომ მას თავის სერიოზული ტრავმა აღენიშნება. ინციდენტი ვალერიან კირკიტაძესთან მას შემდეგ მოხდა, როდესაც მოქალაქე მეფარიშვილმა მას ოფისში მიაკითხა.



# „ნუ წახვალთ ღმერთის წინააღმდეგ!“

## ანუ პაპის „დიგნიტას ინფინიტა“

**რომის პაპი ფრანცისკე აბორტს, სუროგაციასა და სქესის შეცვლას გმობს. როგორც პონტიფიკოსი „დიგნიტას ინფინიტას“ (ლათინურიდან „უსაზღვრო ღირსების“) სახელწოდებით მომზადებულ 25-გვერდიან დოკუმენტში საუბრობს, ორსულობის შეწყვეტა სხვა არაფერია, თუ არა „ყველაზე დაუცველთა და უცოდველთათვის“ ადამიანური ღირსების ჩამორთმევა.**

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ადამიანი, დაუბადებელიც კი, წმინდა და ხელშეუხებელია და ეს მოიცავს ნებისმიერ ვითარებას, მისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე. რომის პაპს ანალოგიური პოზიცია აქვს სუროგაციაზე. პონტიფიკოსის აზრით, სარგებლის მიღების მიზნით დაორსულებისას ბავშვი ხდება მხოლოდ „ობიექტი“ და ასევე ითელება ქალის ღირსება. მისი თქმით, „ბავშვის ყოლის კანონიერი სურვილი არ შეიძლება გარდაიქმნას შვილის ყოლის უფლებად“.

რომის პაპი შეეხო სქესის შეცვლის საკითხსაც და ქალსა და მამაკაცს შორის სქესობრივი განსხვავების მოშლის „გენდერულ თეორიებს“, რასაც ფრანცისკე ღმერთის მიერ მონიჭებული ღირსების სერიოზულ დარღვევად აფასებს.



**„სურვილი, განაგებდე თავს, სხვა არაფერია, თუ არა მარადიული ცდუნების მიმართ დანებება თავის გასაღმერთებლად“,** – ამბობს რომის პაპი ფრანცისკე. რომის პაპის აზრით, ადამიანმა უნდა მიიღოს და პატივი სცეს საკუთარ სხეულს, როგორადაც ის არის შექმნილი, სქესის შეცვლა კი საფრთხის ქვეშ აყენებს ადამიანის უნიკალურ ღირსებას, რომლითაც ჩასახვის მომენტიდან არის დაჯილდოებული. პონტიფიკოსმა ასევე დაგმო სექსუალური ორიენტაციის გამო ადამიანთა დევნა, რაც ადამიანის ღირსების შელახვად შეაფასა, ისევე როგორც სექსუალური ორიენტაციის გამო ადამიანების წამება და მოკვლა.

ისაუბრა ქალთა მიმართ ძალადობაზე, დაგმო ომები და ტრეფიკინგი. 25-გვერდიანი დოკუმენტი რამდენიმე წლის განმავლობაში მზადდებოდა.




# საქართველო ტურიზმის დღეს მაღალი რანგის უამრავ სტუმარს ელის

**საქართველო გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ევროპის კომისიის სხდომაზეა წარმოდგენილი**

**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ევროპის კომისიის 70-ე შეხვედრაზეა წარმოდგენილი. ალბანეთში, ქალაქ ტირანაში კომისიის სხდომა ალბანეთის პრემიერ-მინისტრმა ედი რამამ და გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა გახსნეს,** – ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე. თამარ ყორიაულმა ტურიზმის მსოფლიო დღის საქართველოში მასპინძლობასთან დაკავშირებით ისაუბრა. წელს, სექტემბერში, მსოფლიო ტურიზმის დღის აღსანიშნავად საქართველოს მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მაღალი რანგის სტუმარი და ტურიზმის სფეროს პროფესიონალი ეწვევა.

ევროპის კომისიის 70-ე შეხვედრას გაეროს ტურიზმის ორგანიზაციის წევრი ევროპის რეგიონის ქვეყნების ტურიზმის მინისტრები და ტურიზმის სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები ესწრებიან.

# მსოფლიოს უხუცესი



**ჯონ ტინისვუდი ინგლისის საგრაფო მერსისაიდიდან მსოფლიოს უხუცესი კაცი გახდა. 111 წლის კაცი, რომელიც მოხუცებულთა სახლში ცხოვრობს, ყველას ურჩევს „ავარჯიშონ ტვინი“ და ყველაფერში „ზომიერება“ გამოიჩინონ.**

თავისი სიცოცხლის ხანგრძლივობას ის კვირაში ერთხელ ტრადიციული ბრიტანული კერძის – „ფიშ ენდ ჩიფსის“ დაგემოვნებითა და ახალგაზრდობაში რეგულარული ლაშქრობებით ხსნის. ტინისვუდი 1912 წლის 26 აგვისტოს, საუსპორტში დაიბადა. 1942 წელს მან თავის ერთადერთ მეუღლეზე, ბლოდვენზე იქორწინა. წყვილს ერთი ქალიშვილი – სიუზანი ჰყავდა. მსოფლიოს უხუცესი კაცის დამადასტურებელი სერტიფიკატი გინესის რეკორდების წარმომადგენლებმა ტინისვუდს 4 აპრილს გადასცეს. მანამდე მსოფლიოს უხუცესი კაცის ტიტული ვენესუელელ ხუან ვისენტე პერეს მორას ეკუთვნოდა, რომელიც ერთი კვირის წინ, 114 წლისა გარდაიცვალა.



# დედამიწიდან გაქცევა მოგვიწევს...

**Tesla**-სა და SpaceX-ის დამფუძნებელმა და X-ის მფლობელმა **ილონ მასკმა** განაცხადა, რომ კაცობრიობას შეუძლია მილიონობით წელი იარსებოს, თუ სხვა პლანეტებს აითვისებს.

**„ცივილიზაციამ მიმდინარე ტექნოლოგიური დონე იქამდე უნდა შეინარჩუნოს, სანამ მარსი თვითმყოფადი არ გახდება. ამას სავარაუდოდ 20 წელი დასჭირდება. თუ პლანეტთაშორისი, შემდეგ კი ვარსკვლავთაშორისი სახეობა გავხდებით, ჩვენი ცივილიზაცია მილიონობით წელს იარსებებს. თუ არა, ალბათ სულ რამდენიმე ასეული წელი დაგვრჩა“,** – მიიჩნევს მასკი.

# გატიკტოკებული პოლიტიკოსები

**გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი სოციალურ ქსელ „ტიკ-ტოკზე“ დარეგისტრირდა. ოლაფ შოლცი პირველ ვიდეოში პირობას დებს, რომ არ იცეკვებს. როგორც გერმანიის მთავრობაში განმარტეს, ახალი არხი ხელისუფლებას დაეხმარება იმ მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიწოდებაში, რომლებიც პოლიტიკურ თემებს ტიკ-ტოკზე განიხილავენ.**




ამ გვერდზე მომხმარებლებს შეეძლებათ, გაეცნონ „გერმანიის მთავრობის ყოველდღიურ სამუშაოს კულისებს მიღმა“. შოლცი ერთ-ერთი უკანასკნელია იმ ლიდერებს შორის, რომლებიც ჩინურ სოციალურ ქსელში დარეგისტრირდნენ. ეს მოხდა იმ ფონზე, როდესაც აღნიშნული პლატფორმის უსაფრთხოების შესახებ არაერთი კითხვა ჩნდება. თებერვალში „ტიკ-ტოკზე“ ანგარიში გახსნა ჯო ბაიდენმა. როგორც თეთრ სახლში აცხადებენ, ეს გადაწყვეტილება ახალგაზრდა ამომრჩევლების მისაზიდად მიიღეს.

# სიბრძნე სიცილისა...



**ქალები მუდამ აზვიადებენ ყველაფერს: მაგალითად, თუკი მიაშტერდები მანდილოსნის პირველი ზომის მკერდს, მზად უნდა იყო, რომ სილაქი ისეთი ძალით მოგხვდება, თითქოს მას სრული მეოთხე ზომის მკერდი ჰქონდეს!**

* * *

**– შეიძლება თუ არა, რომ ერთდროულად იყოს პატიოსანიც და მდიდარიც?**

**– რა თქმა უნდა, შეიძლება! ოღონდ უკეთესია ჯერ იყო მდიდარი – ასე გაცილებით უფრო საინტერესოა.**

* * *

**ქალისთვის მთავარი წონა კი არა, არამედ ისაა, თუ როგორ დაატარებს იგი თავისი სილამაზის კილოგრამებს.**

* * *

**„ოდისეა“ – თვალნათელი მაგალითია იმისა, თუ რის მოფიქრება შეუძლია მამაკაცს საკუთარი თავის დასაძვრენად, როცა ცოლს ცდილობს აუხსნას, – „სად მოუსავლეთში ბრძანდებოდა ამდენ ხანს“!..**

* * *

**ინტუიცია – ესაა ქალის გასაოცარი გრძნობა, რომელიც კარნახობს მას, რომ ქმართან კამათში, მიუხედავად იმისა, თუ როგორაა საქმე სინამდვილეში, იგი მუდამ მართალია.**

* * *

**ცხოვრებაში ყველა მძიმე ტვირთი საშუალო რანგის უფროსებს აწევთ, რადგან მათი უფროსებიც გამოთაყვანებულები არიან და ხელქვეითებიც.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 12 აპრილს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6777; ევრო - 2.9005;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3825;
100 რუბლი - 2.8950; თურქული ლირა - 0.0835;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5740;
1000 სომხური დრამი - 6.8917

**ამინდი 10 აპრილისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე +22 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე +22 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5, | დღე +24 |
| თბილისი: | ღამე | +10, | დღე +21 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge